645
1972



# საქართველოს ქალი

სექტემბერი
№ 9 1972 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო დ. იაკობაშვილისა

ცნობილ ქართველ მხატვარს — ლადო გუდიაშვილს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა. ეს ცნობა სასიხარულო და აღმაფრთოვანებელია ყველასათვის, ვინც ეთაყვანება ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას.

ძვირფასო ლადო, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია თავისი რედკოლეგიისა და მრავალათასიანი მკითხველის სახელით გილოცავთ ამ უდიდეს წარმატებას, რაც ჭეშმარიტად დაიმსახურა თქვენმა მადლიანმა მარჯვენამ, თქვენმა ყალამმა თქვენმა ტილოებმა, შთამომავლობას რომ დარჩება, ვით საგანძური. კვლავ ახალი წარმატებანი მოელოცოს თქვენთვის თქვენს საყვარელ ხალხს, თქვენს დიდ სამშობლოს, თქვენს მამულს.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии.

1972
ეროვნული
ბიბლიოთეკ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ
ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ
50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ
ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

118/3

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ
ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ
ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ
ᲛᲝᲫᲛᲔ
ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘᲡ,
ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ
ᲓᲐ ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲓᲐᲜ



აშხაბადის რაიონის „9 აშხაბადელი კომისრის“ სახელობის ყამირის საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო მექანიზატორმა ორაზგოზელ ნიაზლაევამ გასულ წელს თავისი მანქანით 250 ტონა ბამბა მოკრიფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ციფრები და ფაქტები

მეფის რუსეთის ჩამორჩენილი მხარე — თურქმენეთი ინდუსტრიულად განვითარებულ რესპუბლიკად გადაიქცა. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ახლა 45-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს.

* * *

თურქმენეთი გაზისა და ნავთობის მხარეა. შარშან აქ მოპოვებულია 15,5 მილიონი ტონა „შავი ოქრო“ — 120-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. ამ ხუთწლედში რესპუბლიკა წლიურად მოიპოვებს 65-67 მილიარდ კუბმეტრ ბუნებრივ გაზს.

* * *

ვ. ი. ლენინის სახელობის ყარაყუმის არხი უდიდესია რესპუბლიკაში. იგი 850 კილომეტრზე გასდევს ქვიშიან უდაბნოს. ამ შეუდარებელ ხელოვნურ მდინარეს ხალხი ბედნიერების მდინარეს უწოდებს. მის ზონაში მოდის რესპუბლიკაში დამზადებული ბამბის 40 პროცენტზე მეტი.

შარშან თურქმენმა მებამბეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს: ქვეყანას 920 ათასი ტონა ბამბა მისცეს, 186 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დიდ ძალას წარმოადგენენ ქალები. ისინი მუშახელის 52 პროცენტს შეადგენენ. 120-ათასიანი მემინდვრეთა არმიიდან 880 მექანიზატორი, ზოოტექნიკოსი და აგრონომია, 280—კოლმეურნეობის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, 234 — მებამბეობის ბრიგადის ბრიგადირი; 59 ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

* * *

რესპუბლიკაში დიდად აფასებენ მეხალიჩეთა შრომას. საუკეთესო მეხალიჩეებს თურქმენეთის სსრ დამსახურებული მეხალიჩის წოდებას ანიჭებენ. ახლა ამ საპატიო წოდებას 640 თურქმენი ქალი ატარებს.

* * *

4 ათასზე მეტ ქალს მიენიჭა „გმირი დედის“ წოდება. 192 ათასი მრავალშვილიანი დედა დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

* * *

ბევრი ქალი მუშაობს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხელმძღვანელ პოსტებზე. 88 ქალი პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივანია, 900 — პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს, 320 — ადგილობრივ საბჭოებს, 1,5 ათასი ქალი მუშაობს რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, მათგან 804 ქალს აქვს სამეცნიერო ხარისხი. 5 ათასზე მეტი თურქმენი ქალი ნორჩი თაობის აღზრდას ემსახურება.

მრავალი ქალი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 7.768 ქალი კი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია.

* * *

გაერთიანება „თურქმენეფტში“ წარმატებით შრომობს 4 ათასზე მეტი ქალი.

# ახდენილი ოცნება

— დედამ დისერტაცია დაიცვა!

და ნაზაროვების ოჯახში ერთი ამბავი დატრიალდა. გოგონები კისერზე ჩამოეკიდნენ დედას, მამა და უფროსი ვაჟიც უერთდებიან საერთო სიხარულს, ბებია ნურტაჩი კი თავშლის ბოლოთი იწმენდს ცრემლს: ახდა ოცნება მისი ცხოვრებისა!

მაია ნაზაროვას კარგად ესმის დედის მღელვარება. „დედა, უშენოდ მე ვერ მივაღწევდი ამას“, — ამბობს იგი და კოცნის საყვარელ სახეს.

— მამას უნდოდა რომ შენ უმაღლესიც დაგემთავრებინა...

მამა ფრონტზე დაიღუპა. დედა ნურტაჩისათვის მძიმე დღეები დადგა. მაგრამ იგი თავგამოდებით ზრუნავდა მაიასთვის. მაიამ ვერცხლის მედალზე დაამთავრა ქალაქ მარის მე-2 საშუალო სკოლა. მაშინ ნურტაჩმა მკაცრად გაახსენა შვილს:

— მამას უნდოდა შენ უმაღლესიც დაგემთავრებინა.

და მაია გორკის სახელობის თურქმენეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა სწავლის გასაგრძელებლად...

შემდეგ აშხაბადის 28-ე საშუალო სკოლაში გაგზავნეს. იგი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ახალბედა მასწავლებელს პირველად გაუჭირდა, მაგრამ მას მხარში ამოუდგნენ უფროსი ამხანაგები, ამოუდგა მეუღლე ნურინაზარიც.

შემდეგ 12 წელი მუშაობდა მაია პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, თურქმენეთის სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სექტორში. მისი დისერტაციის თემა ასეთია: „მარტივი წინადადება, როგორც მოსწავლეთა მეტყველების განვითარების საშუალება (თურქმენული სკოლების რუსული ენის გაკვეთილებზე მე-7-8 კლასებში)“.

დიდი და მნიშვნელოვანი საქმე იგულისხმება ამ მშრალი სათაურის მიღმა. ცნობილია, რომ ამ მხრივ, თურქმენეთში უკეთ უნდა იყოს საქმე დაყენებული. აუცილებელია სპეციალური გამოკვლევანი, სადაც მეცნიერულად უნდა იყოს დამუშავებული გრამატიკული მასალის ათვისება, რუსული ენის სინტაქსური კონსტრუქცია. ეს საჭიროა, რათა თურქმენი ბავშვები უკეთ დაეუფლონ რუსულ ზეპირ მეტყველებას, წერას. მაია ნაზაროვას ნაშრომი ამ მხრივ ერთი პირველთაგანია თურქმენეთში. მან უზარმაზარი კვლევითი მუშაობა ჩაატარა: გულმოდგინედ და მეთოდურად შეისწავლა მე-7-8-კლასელი თურქმენი ბავშვების ზეპირი მეტყველება და წერა რუსულ ენაში. შემოიარა მრავალი სკოლა, რესპუბლიკის სოფლები და ქალაქები. შეისწავლა საარქივო მასალები, ჩაატარა მრავალი ექსპერიმენტი, ამოწმებდა ორ ენაზე მეტყველების ეფექტურობას. ამ მრავალწლიანი გამოკვლევის შედეგებს ხშირად აქვეყნებდა სამეცნიერო ბროშურების, სტატიების, წერილების სახით, აქვეყნებდა იმ სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში, რომლებიც სჭირდებათ თურქმენული სკოლების რუსული ენის პედაგოგებს.

ნაზაროვას მიერ შეთავაზებული ხერხები მოსწავლეთა რუსულ ენაზე მეტყველების საქმეს მეტად გამოადგა. მისი მეთოდები რესპუბლიკის მრავალმა პედაგოგმა გამოიყენა.





ეს მშვენიერი თურქმენული ხალიჩები დურლი სალაროვამ და ოგულტაგან ორაზ-კულიევამ მოქსოვეს

— თურქმენ ხალხს განსაკუთრებით უყვარს მუსიკა, პოეზია, ზეპირსიტყვიერება, — გატაცებით ლაპარაკობს მაია ნაზაროვა, — ამბობენ, რომ არ მოიპოვება თურქმენი, რომელსაც ერთი ლექსი მაინც არ შეექმნას. მასწავლებლის ამოცანაა ასეთივე დიდი ინტერესი გაუღვივოს ახალგაზრდებს რუსული ენისადმი და მეც ვცდილობ დავეხმარო მათ...

და შემდეგ აგრძელებს:

— ჩვენთან, ინსტიტუტში შესანიშნავი კოლექტივია. ბედნიერი ვარ, მათთან რომ მოვხვდი, უყვართ საქმე და ამაში ხედავენ ცხოვრების მიზანს. ხუთი შვილის დედა ვარ. იოლი არ იყო ჩემთვის კვლევითი მუშაობის ჩატარება, მაგრამ ჩვენ მოვერიეთ, ჩვენ შევძელით.

— „ჩვენ?“, ვინ „ჩვენ“, პატივცემულო მაია?

მაია იცინის:

— ვინ და ჩვენ: ე. ი. ჩემი მეუღლე ნურნაზარი, ვაჟი კურბანი და გოგონები: ოგულსაფარი, ოგულსონე, ლიალია და პატარა ჯენეტი...

მართლაც, ოჯახმა ყველა პირობა შეუქმნა მაიას მეცნიერული მუშაობისათვის. პატარა სამი წლის ჯენეტიც კი ცდილობდა არ ეხმაურა, არ ეჭირვეულა მაშინ, როცა დედა მუშაობდა და წერდა.

* * *

აი, ასეთია იგი, მაია ნაზაროვა, თურქმენეთის რესპუბლიკის სახელოვან მეცნიერთა არმიის ერთ-ერთი რიგითი წევრი.

ამ მაღალ, კოხტად ჩაცმულ ქალს, კეფაზე შავი თმის მძიმე ნაწნავი რომ აქვს დახვეული, ყველგან იცნობენ, იცნობენ თურქმენეთის სახელმწიფო გამომცემლობა „თურქმენისტანშიც“, სადაც მაია ხშირად დადის სახელმძღვანელოების გამოცემასთან დაკავშირებით; იცნობენ მრავალ სკოლაში, სადაც ესწრებოდა რუსული ენის გაკვეთილებს, კარგად იცნობენ სახელმწიფო უნივერსიტეტში, რადგან მაია აქ რუსული ენის კათედრას განაგებს.

და ყველა, ვინც კი იცნობს მაია ნაზაროვას, — პატივისმცემელია მისი, როგორც სპეციალისტისა, მეცნიერისა და სამაგალითო ოჯახის დედისა.

ლიდია სკინდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფირდოუსის სახელობის ბიბლიოთეკაში კანადური ჟურნალის „ნოზირი ნეიბორსის“ ახალი ნომერი მიიღეს. მასში დაბეჭდილია სტატია ტაჯიკეთის სსრ სახალხო არტისტის — მალიკა საბიროვას შესახებ.

ვინ მოსთვლის, რამდენი ასეული ათასი მაყურებელი მოუხიბლავს მალიკა საბიროვას უზადო ხელოვნებას მრავალ ქვეყანაში — კანადიდან ბირმამდე, იტალიიდან — ინდოეთამდე. და ყველგან, სადაც საბჭოთა ბალერინის ტალანტს აღიარებენ, იმასაც დასძენენ ხოლმე, მალიკა საბიროვა მაგალითია ქალისა, რომელსაც თავისუფლება სოციალიზმმა მიანიჭა.



„ლეილი და მეჯნუნი“
ლეილი — მალიკა საბიროვა
მეჯნუნი — მუზაფარ ბურხანოვი

# მალიკა საბიროვა

მშვენიერია დუშანბე, ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი. სულ რამდენიმე ათეული წლის წინ კი ის შუასაუკუნეების ქალაქი იყო, ვიწრო შუკებითა და ღარიბული ქოხმახებით. ქალს არ შეეძლო ქუჩაში უჩადროდ გამოჩენა, ამას უკრძალავდა უმკაცრესი რელიგია.

მხოლოდ 1941 წელს დაიდგა ამ მხარეში პირველად ბალეტი, რომელშიც უმაღლეს საცეკვაო ხელოვნებას დაუფლებული ტაჯიკი ქალიშვილები გამოდიოდნენ. ამ დროისთვის ტაჯიკი ქალიშვილები უკვე უმაღლესშიც სწავლობდნენ, მანქანის საჭესთანაც ისხდნენ და წარმოებასაც ხელმძღვანელობდნენ. მალიკას მამა, ხალხური შემოქმედი — მუსიკოსი, ხშირად ეუბნებოდა გოგონას, შენი სიყვარული მუსიკისადმი იმას მოასწავებს, რომ ხელოვნებას უნდა მიუძღვნა სიცოცხლეო...

—მაგრამ განა მამა წარმოიდგენდა, რა სიმაღლეებს დაიპყრობდა მისი ქალიშვილი?

სულ ახალგაზრდა იყო, როცა 1964 წელს თავისი ოსტატობით გააოცა ერთ-ერთი კონკურსის ჟიურის წევრები, რომელთაც მალიკას სახელი ჯერ არც გაეგონათ. ამ კონკურსზე მალიკას ვერცხლის მედალი მიაკუთვნეს. ასეთი გამარჯვების შემდეგ თვით უდიდესმა გალინა ულანოვამ მოჰკიდა ხელი ტაჯიკი ბალერინის სრულყოფას.

ჰოდა, აგერ, მალიკა საბიროვა 1969 წელს მოსკოვში ბალეტის პირველ საერთაშორისო კონკურსზე გამოდის, სადაც თავიანთი ნიჭისა და ოსტატობის საჩვენებლად ოცი ქვეყნის ასამდე საუკეთესო მოცეკვავეა ჩამოსული, ჟიურის შემადგენლობაში კი უდიდეს სპეციალისტებს მოუყრიათ თავი.

საბიროვას ხელოვნების აღიარება მართლაცდა სიურპრიზი აღმოჩნდა მათთვის, ვისაც ჯერ არც სმენოდა ტაჯიკეთში, საერთოდ, ბალეტი თუ არსებობდა. ექსპერტებს ვერ დაეჯერებინათ, რომ პირველი საერთაშორისო პრემია და ოქროს მედალი დუშანბელ ბალერინას ერგო.

ამ ტაჯიკელი ქალიშვილის ცხოვრებაში კი ბალეტმა, რა ხანია, უმთავრესი ადგილი დაიკავა, ჯერ კიდევ რვა წლისა იყო მალიკა საბიროვა, როცა კომისიამ ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გასაგზავნად შეარჩია. მალიკას დედა ღელავდა, შვილის ასე შორს გადახვეწა აშინებდა. მაგრამ გოგონამ ამ პირველ ჭიდილში გაიმარჯვა და დასტოვა დუშანბე. იმისთვის, რომ ბალეტის სამყაროში შესულიყო. საბიროვამ არამარტო დაამთავრა სწავლების კურსი, არამედ გამოსაშვებ გამოცდებზე ბალეტ „შჩელკუნშჩიკში“ იცეკვა. შემდეგ ტაჯიკეთში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო დუშანბეში, აინის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. ძალიან ცოტა მოიპოვება ბალეტის ვარსკვლავთა შორის ბალერინა, ასე სწრაფად რომ დაუფლებოდეს საბალეტო ხელოვნების მწვერვალებს.

სამწუხაროდ, მსოფლიო პრესამ „ვერ შეამჩნია“ ამ ვარსკვლავის კარიერა.

განა პარიზელი და ნიუიორკელი ქალებისთვის მალიკას ამგვარი ტრიუმფი ნაკლებ სენსაციური იქნებოდა, ვიდრე ის, რაც ასე იტაცებს დასავლეთში თეატრალურ რეპორტიორებს? აბა, წარმოიდგინეთ: მბრწყინვალე ბალერინა იმ ქვეყნიდან, სადაც წარსულში ქალს თეატრში გამოჩენის უფლებაც არ ჰქონდა, არ შეეძლო სკოლაში ესწავლა, კრებას დასწრებოდა და აბსოლუტურად წართმეული ჰქონდა თავისუფლება. სადღა ნახავთ ამგვარ შემთხვევას ცეკვის ისტორიაში? მაგრამ საქმეც იმაშია, რომ, როცა საბიროვა ლონდონის, რომის, მონრეალის, ტოკიოს, თუ კალკუტის სცენაზე გამოჩნდა, ვერავინ „შეატყო“, რომ სცენაზე ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მცხოვრები ცეკვავდა.

ახლა ხომ მიხვდით, რად თქვეს უარი ჩვენმა ჟურნალისტებმა ამგვარ საინტერესო მასალაზე? ჩვენს „თავისუფალ“ პრესაში უმჯობესია, არაფერი დაიწეროს საბჭოთა მსახიობების პირად ცხოვრებაზე, რა საინტერესოც არ უნდა იყოს იგი. აი, ვთქვათ მალიკაზე. ის მონადირეა, მოცლილობის ჟამს, თავის ძმასთან ერთად მთაში მიდის სანადიროდ ძაღლებით. რა ეფექტური იქნებოდა ეს ფოტოები რომელიმე ჩვენი ილუსტრირებული ჟურნალის ფურცლებზე! „ბალერინა ნადირობისას“.

ჰო, მას კიდევ ერთი სახელი აქვს: რესპუბლიკის სახალხო არტისტი მალიკა საბიროვა. ამასაც თავისი განმარტება სჭირდება, და მერე იმის მოყოლაც, თუ რა ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა შუააზიის ხალხთა ცხოვრებაში. და კიდევ იმ ცალკეულ ადამიანთა ბედში, მწვერვალებისაკენ რომ მიემართებიან.

**თარგმანი ინგლისურიდან.**

**სტატია გადმობეჭდილია რესპუბლიკურ გაზეთ „ტაჯიკეთის კომკავშირელიდან“.**



# საჯესთანაა ტაჯიგული

გარეგნობით მსახიობსა ჰგავს: ჰქვიან სახეს ლამაზი, სწორი ნაკვთები და მეტყველი თვალები უმშვენებს. ტაჯიგული აუცილებლად თეატრში წავაო, ამბობდნენ მისი სკოლის ამხანაგები. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა — მშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩენა და მექანიზატორად მუშაობა ირჩია გოგონამ.

ამის მიზეზი კი, ალბათ, ის იყო, რომ ტაჯიგულის ოჯახი მექანიზატორებისაგან შედგება: მამა ელექტრომონტიორია, დედა — რადიოკვანძის მექანიზატორი, ძმა — ტრაქტორისტი, უფროს დას, აგრეთვე, ათი წლია ტრაქტორი დაჰყავს.

— დედ-მამისა და დის კვალს გაჰყევი, ხომ? — ჰკითხა ქალიშვილს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ჯეფარ კარიბოვმა.

— მაშ!

— ნამდვილად?

— აბა, რა!

— კარგად გადაგიწყვეტია, შვილო! — დაუუვავა თავმჯდომარემ და კომკავშირის კომიტეტთან ერთად, რეკომენდაცია მისცა მექანიზატორთა მოსამზადებელ კურსებზე შესასვლელად.

სწავლა არ გაძნელებია ტაჯიგულს, ხელად გაიგო ყოველგვარი დეტალისა თუ კვანძის ურთიერთდამოკიდებულება, ხოლო, როცა ჯერი ტრაქტორის ტარებაზე მიდგა, მასწავლებელმა კმაყოფილება ველარ დამალა: აი, ვისგან უნდა აიღოთ მაგალითიო, უთხრა სხვებს.

კურსების დამთავრების შემდეგ მეხუთე ბრიგადაში გაგზავნეს.

— დიდი საქმე მოგანდეს, ბამბის კულტივაცია, — შეეგება ბრიგადირი — ისე უნდა იმუშაო, რომ ტრაქტორის გავლის შემდეგ კოლმეურნეებს ბევრი საქმე აღარ დარჩეთ.

— გასაგებია, პატარა ხომ არ გგონივარ, — მშვიდად მიუგო ტაჯიგულმა, მაგრამ როცა ასეთ რამეს ეუბნებოდნენ, რატომღაც, შინაგანად მაინც იძაბებოდა, თითქოს შიში ეპარებოდა გულში — ერთიც ვნახოთ, და თავი ვერ გავართვაო. მაგრამ გვერდში გამოცდილი ადამიანები ედგნენ; ვინ სიტყვით გაამხნევებდა, ვინ კიდევ საქმით უჩვენებდა, ასე უფრო ჩქარა და კარგად გააკეთებო.

მიხვდა ტაჯიგული, რა ფასიც აქვს მექანიზატორის მაღალხარისხოვან ნამუშევარს, როგორ უმსუბუქებდა ამით ხალხს საქმეს.

იმხანად ბამბის ნათესების მექანიზებულმა დამუშავებამ ყველა სხვა მეთოდს აჯობა. მაგრამ ხელით მომუშავეებს მაინც ბევრი საქმე რჩებოდათ. კულტივაციის დროს კარგა ფართო ზოლს ტოვებდნენ ტრაქტორისტები დაუმუშავებელს. კულტივატორის მუშაობას რომ გულისყურით დაუკვირდა, ტაჯიგული მაშინვე მიხვდა, რომ თუ სწორად იმუშავებდა, დიდად შეუმსუბუქებდა კოლმეურნეების საქმეს.

თქმა და გაკეთება ერთი იყო. მანქანის ნაწილები ისე დააყენა, რომ, რაც შეიძლება, ფართო ზოლი გაეტანა ყოველ გავლაზე.

როცა კოლმეურნეებმა იციან, სადაც ჩაიარა ბეკიაზოვას ტრაქტორმა, იქ საქმეს ხალისით ჰკიდებენ ხელს, რადგან დარწმუნე-

ბული არიან, ტაჯიგული ყოველთვის ... შრომის შემსუბუქებაზე ზრუნავს.

კალინინის რაიონის კოლმეურნეობა „ინტერნაციონალში“, სადაც ჩვენი გმირი შრომობს, დიდი დრო იხარჯებოდა ხელით სამუშაოზე. ახალგაზრდა მექანიზატორს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. აი, სწორედ მაშინ დაიწყო ბამბის საკრეფი მანქანის შესწავლა: დღისით რომ კვლებსა სპრიდა, ხნავდა და სასუქი შეჰქონდა, საღამოთი წიგნებსა და ცხრილებს ჩაჰკირკიტებდა და „ცისფერი ხომალდების“ მუშაობას ეცნობოდა. მაგრამ მანქანის თეორიული შესწავლა ერთია, და საჭესთან დაჯდომა კი — მეორე.

— პირველად ყველაფერი რიგზე როდი იყო, — იგონებს ახლა ტაჯიგული.

კრეფის დროს მანქანა ბევრ ბამბას ფანტავდა. მიზეზი მალე გამოირკვა: აპარატურას უშუალოდ კვლებში რთავდა და არა ორისამი მეტრის დაშორებით, როგორც ამას ინსტრუქცია მოითხოვს. მაგრამ ტაჯიგულმა მალე დაიმორჩილა რკინის რაში: პირველსავე სეზონზე 180 ტონა მოკრიფა, 1970 წელს კი — 200 ტონა.

ტრაქტორსა და ბამბის საკრეფ მანქანაზე მუშაობამ ტაჯიგული ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ მარტო მანქანის ოსტატური მართვა არ შველის საქმეს, მექანიზატორმა კარგად უნდა იცოდეს აგრონომია, იცოდეს, რომელ მცენარეს რამდენი და როგორი სასუქი სჭირდება.

ჰოდა, ტაჯიგული ტაშაუზსკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში შევიდა აგრონომიულ ფაკულტეტზე. ახლა მესამე კურსის სტუდენტია. ძნელია, რა თქმა უნდა, სწავლისა და საქმის შეთავსება, მაგრამ ასეა საჭირო! ის კი არა, ტექნიკუმს რომ დავამთავრებ, ინსტიტუტში შევალო, ამბობს ტაჯიგული, და გააკეთებს კიდეც, ბეკიაზოვა სიტყვებს ქარს როდიატანს.

შრომისმოყვარე ქალიშვილი 1970 წელს — ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით — საიუბილეო მედლით დააჯილდოეს. დაჯილდოებულია, აგრეთვე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლითაც.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ტაჯიგულის ცხოვრებაში იყო 1970 წელს კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლა.

ტაჯიგული მუდამ იქაა, სადაც მეტი ენერგია, სიბეჯითე, ცოდნა და ნებისყოფის სიმტკიცეა საჭირო.

შეჯიბრებებზე ტაჯიგული ღირსეულად იცავს შატაუზსკის ოლქის ახალგაზრდობის სახელს. 1969 წელს გამარჯვება მოიპოვა მანქანათა მძღოლების შეჯიბრებაში, 1970 წელს — მხვნელ ქალიშვილთა რესპუბლიკურ პაექრობაში. ეს გამარჯვება მან 1971 წელსაც შეინარჩუნა.

შრომისმოყვარეობისათვის, შეუპოვრობისათვის უყვართ და აფასებენ ტაჯიგულს კოლმეურნეები.

რ. ორაზოვა



„თეთრი ოქროს“ მოსავლეების დიდოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ტურსუნოი ხატამოვა



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მუნირა იაკუბოვა



სამკერვალო ფაბრიკა „ოქტომბრის 40 წელი". ოსტატები ალიმან უსუპოვა, აინექ აიტკულოვა და დირექტორი შაპისა შერკულოვა

# ჩვენთან, ფრუნზეში

დიდი სამამულო ომის დროს, როცა მთელი რიგი საწარმო-დაწესებულებანი ქვეყნის დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოიტანეს, ჩვენთან, ფრუნზეში, 1941 წლის ოქტომბერში ხარკოვის სამკერვალო ფაბრიკა ამუშავდა. 1958 წელს ამ საწარმოს ბაზაზე შეიქმნა ფრუნზეს სამკერვალო ფაბრიკა „ოქტომბრის 40 წელი". ექვსი წლის განმავლობაში იგი გარდა სპეციალური შეკვეთებისა, ამზადებდა ქალისა და ბავშვის პალტოებს, ლაბადებს, შარვლებსა და ქუდებს. 1964 წლიდან კი მოხდა საწარმოს სპეციალიზაცია, მას დაევალა ბავშვთა პალტოებისა და ქუდების გამოშვება.

ახლა ფრუნზეს სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც თავისი ტექნიკური აღჭურვილობითა და სიმძლავრით მსუბუქი მრეწველობის თანამედროვე მოწინავე საწარმოს წარმოადგენს, ბავშვთა პალტოებით ამარაგებს შუა აზიის ყველა რესპუბლიკასა და ყაზახეთს.

2.600-კაციანი კოლექტივი, რომელთა შორის 2.360 ქალია, ჭეშმარიტად ინტერნაციონალურია. 33 ეროვნების ადამიანი შრომობს ფაბრიკაში ერთმანეთის მხარდამხარ. ეს კოლექტივი წელიწადში 975 ათას პალტოსა და 400 ათას ქუდს ამზადებს ბავშვებისათვის.

ფაბრიკა უზრუნველყოფილია სპეციალისტთა კადრებით — ინჟინერ-ტექნიკოსებით, მათ შორის 35 კაცი უმაღლესი განათლებითაა, 92 დაუსწრებლად იღებს უმაღლეს განათლებას, 94 ტექნიკუმებში სწავლობს, 123 კი მუშა-ახალგაზრდობის სკოლებშია ჩაბმული.

მიმდინარე ხუთწლედში ფაბრიკის კოლექტივს ძირითად ამოცანად აქვს დასახული ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვისათვის, ასორტიმენტის გაფართოებისათვის, პროდუქციის ხარისხისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

საამისოდ დღეისათვის ფაბრიკაში ბევრი რამ არის გაკეთებული: ჩატარდა მოსამზადებელი საამქროს რეკონსტრუქცია. იგი გარდაიქმნა წარმოების მაღალმექანიზებულ უბნად. მექანიზებულია კონტეინერებიდან ქსოვილის გადმოტვირთვის ყველა სამუშაო, საამქროს შიგნით მისი ტრანსპორტირება; ქსოვილების შენახვა იმგვარად არის ორგანიზებული, რომ ყოველი გრაგნილი ადვილად ხელმისაწვდომია. საამქროში დაიდგა გამომთვლელი მანქანა, რამაც გაათავისუფლა 10 კაცი, რომლებიც ქსოვილების გაანგარიშებაზე მუშაობდნენ, დაინერგა უნაშთო გაანგარიშება და გამოჭრა. ამის შედეგად დაიზოგა 225 ათასი მანეთის ღირებულების ქსოვილი.

ნებლობაში, მუშაობდა მუშად, ოსტატად, ახლა კი ხელმძღვანელობს საამქროს, სადაც 700 მუშა შრომობს.

უკვე 21 კვარტალია, რაც ფაბრიკის კოლექტივი ზედიზედ იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებისათვის ფაბრიკა დაჯილდოვდა საიუბილეო სიგელით, წარმოების კულტურის ამაღლებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომებით. 267 კაცს გადაეცა საიუბილეო მედალი.

მიმდინარე ხუთწლედში ფაბრიკა გადაყვანილია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. გაფართოვდა უშუალო კავშირი მყიდველებთან. ახალი სისტემით მუშაობის პირობებში გაიზარდა ეკონომიური სტიმულირების ფონდი. ამან საშუალება მოგვცა ისიკ-კულის ტბაზე მოგვეწყო ტურისტული ბაზა, სადაც სეზონის მანძილზე ისვენებს 600-700 კაცი. გვაქვს პიონერთა ბანაკი. ამ ბანაკში ზაფხულსა და საზამთრო არდადეგების დღეებში ისვენებენ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შვილები. ზამთრობით მუშებიც აქ ატარებენ თავიანთ გამოსასვლელ დღეებს.

ფაბრიკის მუშაქალებს ბეჯითი შრომის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ფაბრიკასთან მოწყობილ ბაგა-ბაღებში ყველა ბავშვისთვის არის ადგილი.

**შაპისა შერკულოვა,**
**ფაბრიკის დირექტორი.**



ტიან-შანელი ქალიშვილი ყირგიზულ ტანსაცმელში

საგამომჭრელო საამქროში შექმნილია ქსოვილის გამოჭრის ტექნოლოგიური ხაზი და დანერგილია ქსოვილის გაფენის პარალელურ-თანმიმდევრული მეთოდი.

მუშათა ძირითადი ნაწილი სამკერვალო საამქროებშია დასაქმებული. ეს საამქროები გასულ ხუთწლედში საფუძვლიანად გადაკეთდა, რამაც გააუმჯობესა მკერავთა შრომის პირობები.

დიდი მუშაობა იქნა გაწეული სახელმწიფო ატესტაციისათვის პროდუქციის მოსამზადებლად. 10 მოდელმა გაიარა ატესტაცია და მიენიჭა „ხარისხის ნიშანი“. სავაჭრო ქსელში უკვე გაიგზავნა 15 ათასი პალტო „ხარისხის ნიშნით“.

ფაბრიკის კოლექტივმა, ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელებით, თავდადებული შრომით 1970 წლის 1 ოქტომბრისათვის შეასრულა გასული ხუთწლედის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 62 ათასი ბავშვის პალტო, მიიღო 2.830 ათასი მანეთი მოგება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგა 78 ათასი მეტრი ქსოვილი.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი № 1 საამქროს ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა აინეკ აიტკულოვამ; № 3 სამკერვალო საამქროს უფროსმა, ლენინის ორდენოსანმა ალიმან უსუპოვამ და სხვებმა. ალიმანი ფაბრიკაში ტექნიკური სასწავლებლიდან მოვიდა, მონაწილეობა მიიღო ფაბრიკის მშე-

დასვენება მთაში





# თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობაში

მალე ახდება ყველა თბილისელი დიასახლისის ოცნება: გამოვიდეს სახლიდან და იყიდოს ბოთლებში ჩამოსხმული რძე, რომელიც ორი-სამი საათის წინ ჩამოწველეს ფურს. ეს რძის ნაკადული სათავეს დაიდებს თელეთში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტულ მეურნეობაში. აქ სწრაფი ტემპით შენდება მერძეული კომპლექსი, რომელიც ყოველწლიურად 2.500-3.000 ტონა რძეს მიაწვდის ქალაქის მოსახლეობას.

ყოფილხართ ათიოდე წლის წინ ამ მიდამოებში? თუ არ ყოფილხართ, მხარგაშლილი ჯვრების, თავთუხიანი ხოდაბუნებისა და აშრიალებული ბაღების შემხედვარე ვერ დაიჯერებთ, რომ წინათ აქაურობა გვალვისა და ქარბორბალას სამფლობელო იყო.

ამ ათიოდე წლის წინ კი მძლავრმა მანქანებმა მტკვრიდან წყლის ამოქაჩვა დაიწყეს და მწირი მინდორი წალკოტად იქცა. 300 ჰექტარზე გაშენდა ბაღი და ვენახი, 140 ჰექტარზე გადამწვანდა ქარსაფარი ზოლები, 2.200 ჰექტარზე საამურად შრიალებენ პურის ყანები, ბოსტანი და საკვები კულტურების ნათესები. ამ ახავერდებულ მიწაზე დაუდის მეურნეობას 1.300 სული მსხვილფეხა საქონელი და 3.500 ცხვარი. სიუხვემ თავისი მადლიანი კალთა დაიბერტყა თელეთის მიწაზე. მაგრამ თელეთის მეურნეობა იმით არის განსაკუთრებული, რომ აქ მეცნიერები პრაქტიკულად ცდიან თავიანთ ჩანაფიქრს, საკონსტრუქტორო ბიუროსა და ლაბორატორიაში დაბადებულ სიახლეს. თუ კი სიახლემ გაამართლა, გზას ულოცავენ რესპუბლიკის სხვა მეურნეობებშიც.

თელეთის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობის მერძეული კომპლექსი მარტო იმით კი არ არის ღირსშესანიშნავი, რომ აქ რვაასი უხვპროდუქტიული ფური ეყოლებათ. არამედ იმით, რომ აქ პირუტყვს შეინახავენ ახალი ტექნოლოგიით, ბოქსური შენახვის წესით, დაუბმელად. კომბლიან მწყემსს მექანიზმები შესცვლის. ფერმა მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებული იქნება. სადისპეტჩერო მართვა და ტელეხედვა შრომის კულტურის უმაღლესი დონის დასტური გახდება. ძირფესვიანად შეიცვლება ფურების წველის სურათი. აქ თითო ფურს ცალცალკე კი არ მოწველიან, არამედ ორმოცდარვა ფურს შეიყვანენ ვეება საწველ დარბაზში, სადაც უკვე დადგმულია უახლესი ტიპის საწველი აპარატები. 800 ფური საათნახევარ-ორ საათში მოიწველება. მოწველილი რძის ნაკადი ავტომატურად განაგრძობს გზას, აქვე მოხდება მისი პასტერიზაცია, ჩამოსხმა. შემდეგ კი გაიგზავნება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში.

მერძეული კომპლექსის უპირატესობა თვალნათლივ ჩანს, ამის შესახებ მეურნეობის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი დალაქიშვილმა გვითხრა:

—მერძეული კომპლექსის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ აქ მანქანები მძიმე შრომისაგან ათავისუფლებს მეცხოველეებს. 800 ფურის მოვლას წინათ 52 კაცი თუ გაართმევდა თავს. მერძეულ კომპლექსში კი მხოლოდ 10 მწველავი და ექვსი მექანიზატორი მწყემსი იქნება საჭირო.

გაანგარიშებულია, რომ თითოეული ფური წელიწადში მოიწველის 4.000 კილოგრამ რძეს. ასეთი უხვპროდუქტიული პირუტყვის შენახვისათვის აუცილებელია ყუათიანი საკვები. ცხადია, თელეთში ამაზეც ზრუნავენ.

თქვენს ყურადღებას მიიპყრობს კვადრატებად დაყოფილი მინდორი. ხუთ-ხუთი ჰექტარი ფართობი მავთულით არის შემოღობილი. ამ კვადრატებად დაყოფილ 400 ჰექტარ ფართობზე თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის კულტურული საძოვრები ბიბინებენ, თითოეულ ფართობში ერთი დღელამის განმავლობაში სძოვს საქონელი. შემდეგ კი მეორე ფართობზე გადაჰყავთ, მორიგეობით ძოვება ბალახს ზრდის საშუალებას აძლევს. შემოღობილში პირუტყვის შენახვა საიმედოა და თვალყურის მდევნელიც აღარ სჭირდება.

ფონიჭალიდან რომ თელეთისაკენ გადაუხვევთ, აივაკებთ თუ არა, ორ უზარმაზარ კოშკს დაინახავთ. შორიდან მსხვილი ქიმიური საწარმოს დანადგარები გეგონებათ. სინამდვილეში კი პირუტყვის საკვების — სენაჟის დამზადებისა და შენახვისათვის არის საჭირო. სენაჟის დამზადება ჩვენს რესპუბლიკაში პირველად თელეთის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყეს. ერთი კილოგრამი სენაჟი ცვლის ერთნახევარ კილოგრამ სილოსსა და ორ კილოგრამ თივას. წელს თელეთელები 2.000 ტონა სენაჟს ამზადებენ, ვეება ტრანშეებს საკვებით ავსებენ.







მეურნეობის ვრცელ სათიბებში მძლავრი სათიბი მანქანები მუშაობენ. მაგრამ აქაური თიბვა როდი ჰგავს ჩვეულებრივს. თივას აქ არც აშრობენ, არც აბულულებენ და არც ზვინავენ... მოთიბული ბალახი ოდნავ შეჭკნება თუ არა, სპეციალური მანქანებით კუწავენ და ტრანშეებში ჰყრიან, საგულდაგულოდ ტკეპნიან, ჰერმეტულად ხურავენ. ასე ამზადებენ და ინახავენ სენაჟს.

მეურნეობის 1.600 ჰექტარზე შემოღებულია საკვები თესლბრუნვა. თესლბრუნვის მიზანია მთელი წლის განმავლობაში პირუტყვის უზრუნველყოფა მწვანე და წვნიანი საკვებით, ზაფხულში — კულტურული საძოვრით, ზამთარში კი — სენაჟითა და სილოსით.

თელეთელებმა ხელი აიღეს საკვები ჭარხლისა და სხვა ძირხვენების მოყვანასა და დამზადებაზე, რადგანაც მას სხვადასხვა ტექნოლოგია სჭირდება და მეტ მუშახელსაც მოითხოვს, მეცნიერებმა დაიანგარიშეს, რომ სენაჟისა და სილოსის დამზადებით მეურნეობა დიდძალ ხახსრებს დაზოგავს.

მეცნიერული აზრი ფრთას ისხამს ველმინდვრებსა და ფერმებში. თელეთელ მეურნეებსა და სპეციალისტებს მხარში უდგანან თვით სიახლის ავტორები — მეცნიერები. დღენიადაგ აქ ტრიალებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვალერიან მეტრეველი, ინსტიტუტის მეცხოველეობის მექანიზაციის განყოფილების გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ცომაია, მეცნიერი თანამშრომელი რევაზ რუსეიშვილი და სხვები. ინსტიტუტის მეცნიერებისა და ადგილობრივი სპეციალისტების ურთიერთობა ბევრი კარგი ჩანაფიქრის განხორციელების თავდები გახდა. მეურნეობის მთავარი ინჟინერი გურამ ენუქიძე, ინჟინერ-მექანიზატორი შოთა მახნიაშვილი, მთავარი აგრონომი გივი ზაქაიძე, ინჟინერ-მექანიზატორი იოსებ ალავიძე ახლის დანერგვის ნამდვილი ქომაგები არიან. მეურნეობის მოწინავე ადამიანები: მარიამ გურულიშვილი, ლუბა მაისურაძე, ნონა ქოჩიაშვილი, ჟენია კიკოლაშვილი თავიანთ წარმატებებს მეცნიერებასთან მეგობრობას უმადლიან.

თელეთის მეურნეობა მარტო ერთგვარი პოლიგონი როდია, სადაც უნდა დამტკიცდეს მეცნიერული ჩანაფიქრის ავ-კარგი, თელეთის მეურნეობა ამავე დროს არის სკოლაც, სადაც დღე არ გავა, რომ ჩვენი რესპუბლიკის რომელიმე რაიონიდან ვინმე არ ჩამოვიდეს სიახლის გასაცნობად და შესასწავლად.

წელს საქართველოში 50.000 ტონა სენაჟი უნდა დამზადდეს. ამ ძვირფასი საკვების დამზადების ტექნოლოგიის შესასწავლად თელეთში მოეწყო რესპუბლიკის რაიონების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სემინარი.

თელეთის გაცოცხლებულ მიწაზე ყვავის წალკოტი, ამ წალკოტში ფრთებს ისხამს მეცნიერული აზრი, აზრი, რომელიც თელეთიდან მთელს რესპუბლიკაში ვრცელდება.

ვლადიმერ გოგოლაშვილი

ფოტო დ. იაკობაშვილისა







ეროვნული ბიბლიოთეკა

მარო მახარაშვილი

# მასწავლებელი

როცა სახლის კარი დახურეს და წესისამებრ მისი კუბო სამჯერ მიაჯახუნეს ზედ, ხოლო ვიღაცამ ტუჩებში გამოსცრა: „შენი ფეხი მძიმე იყოსო", მახსოვს, წამოვიკივლე — ეს ყველა მიცვალებულს როდი უნდა უთხრათ, მისი ფეხით დაქნილ ბილიკებს რამდენი გასდევს, რამდენი თაობა გაუზრდია, მაგისი გზა დასალოცია-მეთქი.

ისიც მახსოვს, ჩუმმა თანაკლასელმა ხმამაღლა რომ განაცხადა: მანქანაზე არ დაასვენოთ, ხელით, ჩვენი ხელით უნდა წავიყვანოთ. იმ ხელებით, რომლითაც პირველი ასოები გამოგვაყვანინაო...

როცა გონს მოვედი, ოთახი დაცარიელებული იყო, მეზობელი ქალები ალაგებდნენ იქაურობას.

მისი საწერი მაგიდა ხელშეუხებლად იყო, მაგიდაზე გადაშლილ რვეულს მოვკარი თვალი, დავხედე და ხელი მეცნო, ეს ჩვენი კლასის მოსწავლეთა რვეული გამოდგა. ორ-ორ ფურცელზე შესრულებული ნაშრომი მასწავლებელს ერთად აეკინძა, ლამაზ ყდაში ჩაესვა და ზემოდან წარწერა გაეკეთებინა:

„ჩემს ყველა მოწაფეს, ვინც ცხოვრებაში მასწავლებლის ძნელსა და კეთილშობილ პროფესიას აირჩევს".

ამ რვეულის დატოვება არ შემეძლო, არც მინდოდა ისე წამომეღო, რომ არავის სცოდნოდა, დაველოდე და ვთხოვე ჩემი მასწავლებლის დისშვილს — იმ ოჯახის ერთადერთ მემკვიდრეს.

მან გულმოდგინებით გადახედა რვეულს და ცრემლმორეულმა აიღო კალამი, შენ ისეთი საყვარელი მოწაფე იყავი მისი, რომ ვიცი, რვეულს ყველაზე კარგად შენ გაუფრთხილდებიო! — მითხრა და ზედ ხელის კანკალით წააწერა: „დეიდაჩემის საყვარელ მოწაფეს — მხოლოდ პირადად".

გადიოდა დღეები, თვეები, და დიდმა მკურნალმა — დრომ ყველაფერი წაიღო. გლოვით აღარავინ გლოვობს, მაგრამ მისი სახე და სახელი წარუშლელად ჩაიბეჭდა მათ მეხსიერებაში, ვისაც მისი მადლიანი სიტყვა მოუსმენია, ვისაც მისი დარიგება გაუგონია, მის არჩეულ გზაზე გაუვლია, ვისაც სიზარმაცე არ გაუხდია მეგობრად.

დღეს ისევ ამ რვეულს დავუბრუნდი. გამაოცა წარწერამ „მხოლოდ პირადად", — გამიკვირდა, რას ნიშნავდა ეს, და გადავშალე თავფურცელი, ჩავიკითხე და თვალწინ დამიდგა 30 წლის წინანდელი საკლასო დავალება, რვეულის ორ ფურცელზე რომ შეგვასრულებინა. შემდეგ ფურცლები წამოკრიფა და ხან ღიმილით, ხან კი სევდიანი გამომეტყველებით ათვალიერებდა მათ.

მას შემდეგ არც მას და არც ჩვენ ეს ნაწერი არ მოგვიკითხავს.

პირველ გვერდზე ლამაზი ქართულით ჰქონდა დაწერილი.

„დღეს უცნაური სურვილი დამებადა: ჩემი ბავშვებისათვის მიმეცა თემა —„მასწავლებელი ჩემი გულის მესაიდუმლე", და ეს ნაწერები ჩემთვის მქონოდა, გამეგო, როგორი ერთგული მეგობარი ვიყავი თითოეული ბავშვისა, გამიხსნიდნენ თუ არა გულის კარს, ჩამახედებდნენ თუ არა მის უბიწო სიღრმეში. დავალებამ სასურველი შედეგი გამოიღო, ყველა მოსწავლემ შეასრულა დავალება, მე კი ჩემს სიცოცხლეში მათი მესაიდუმლე დავრჩი და უხმოდ ვასწორებდი ყველა სიმახინჯეს, რაც მათ სულსა და გულს უწამლავდა; ახლაც კი, როცა ზოგი მათგანი პატარა შვილიშვილის ბებიაც გამხდარა, მათზე საზრუნავი არ მელევა. ნურც დაილიოს ქვეყნად კეთილშობილი საზრუნავი.

**თქვენი მასწავლებელი".**

გადავშალე შემდეგი ფურცლები და, ოჰ, საკვირველებავ, როგორ გავიზარდეთ ერთად, რომ არაფერი არ ვიცოდით ერთმანეთისა და ანდა როგორ წარიმართა ჩვენი ცხოვრების გზა ასე შინაარსიანად, ასე მოხდენილად, ჩვენი მასწავლებლის ჩუმი მოქმედებით, მისი დაფარული ამაგის შედეგად.

ყველა ფურცლის თავზე გვარი და სახელი ეწერა. პირველი ნაშრომი ასე იწყებოდა:

**პატივცემულო მასწავლებელო!**

თქვენ გახსოვთ, როგორი ნამტირალევი მოვედი თქვენთან, მამამ რომ ქალი მოიყვანა სახლში. დედაჩემის შემდეგ მე ვეღარ წარმომედგინა ვინმე მისი მაგიერი მის ოთახში, მის საოჯახო ნივთებთან. ჯერ კიდევ დედის გაკეთებული მურაბები გვქონდა და, როცა ის ქალი ხელში აიღებდა დედის ხელით თავმოკრულ ქილას, რა მემართებოდა, ვერ გეტყვით.

თქვენ მაშინ დამარიგეთ, სახლამდე მიმაცილეთ და მითხარით: თქვენს ოჯახს დედა სჭირდება. ეცადე იქნებ, გამონახო საერთო მასთან, უსათუოდ გამონახავ, ოღონდ მოთმინებით, შეგნებით უნდა მოეკიდო მომხდარ ამბავსო.

ჩემს დედინაცვალს ჩემი ტოლი გოგონა მოჰყვა, ჩვენ დებივით შევიწყეთ ერთმანეთს. დედინაცვალი მე უფრო მეტი მზრუნველობითა და ყურადღებით მეპყრობა, არაფერს მაკლებს, არც ალერსს, არც ჩაცმა-დახურვას, მე ისევე ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი როგორც დედასთან, ოღონდ დედა, ჩემი დედა, მაინც ძალიან მომენატრება ხოლმე.

ჩვენ ხშირად მივდივართ დედის საფლავზე. საფლავი სათუთად გვაქვს მოვლილი. მე დავრწმუნდი თქვენი დარიგების სისწორეში. ჩვენს ოჯახს უსათუოდ დედა სჭირდებოდა, ეს ქალი ნამდვილი დედაა. ამიტომ ვცადე, რომ დედა დავუძახო, მაგრამ ვერ შევძელი, თვითონ კი სულ შვილოს მეძახის.

მე მინდა ჩემი გულის ნათქვამი მანაც იცოდეს. პირადად კი ვერასოდეს ვეტყვი ამას, რასაც თქვენ გწერთ, მასწავლებელო!

* * *

ახლა ვენერა დედინაცვალს დედას ეძახის.

**მასწავლებელი.**

**პატივცემულო მასწავლებელო!**

ამბობენ, რომ თავდადებული, მუყაითი, უანგარო და პატიოსანი შრომაა საჭირო გმირობისთვისო. მინდა ისე ვიშრომო, ვიბრძოლო (თუ საჭირო იქნება), რომ გმირი გავხდე. მასწავლებელო, ხომ შეიძლება ამიხდეს ეს ოცნება? თქვენ ხომ ხშირად გითქვამთ — უბრალო ადამიანი, რომელიც სისტემატურად, დაუცხრომლად შრომობს და იღვწის სამშობლოს კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, გმირობისაკენ იკვლევს გზასო.

მინდა ასეთი გზა გავიკვლიო, ვისწავლო, ვიშრომო, ვიბრძოლო.

* * *

წიგნი კარგია, ვნახოთ! დედასა და მასწავლებელს ყველაზე მეტად უნდა, რომ სასახელო შვილი ჰყავდეს.

**მასწავლებელი.**

* * *

**მასწავლებელო!** საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევა მეხება, წავალ კიდეც ჩემი სამშობლოს დასაცავად, მის სადარაჯოზე დგომა უკეთილშობილესი მოვალეობაა. იქიდან ისეთი სასახელო დავბრუნდები, თქვენ რომ გაგეხარდებათ. ჩემს შესახებ მოგწერენ მადლობას, კარგი ყმაწვილი გაგიზრდიათო, ნუ იცინით, აი, ნახეთ, თუ მართლა ასე არ მოხდეს! მაშინ მომიგონებთ და წერილსაც გამომიგზავნით, ჩვენი კლასის მოსწავლეებსაც დაავალებთ წერილის მოწერას. გოგოები სიხარულით აწრიპინდებიან, ბიჭები შემომნატრებენ, გაზეთშიც გამოაქვეყნებთ. როგორ მინდა, რომ ძალიან გასახელოთ, გაგახაროთ, ჩემო კარგო მასწავლებელო, აი, ესეც ჩემი საიდუმლო.

* * *

მჯერა შენი, ჩემო ჭინკა ბიჭო!

**მასწავლებელი.**

**მასწავლებელო!** ერთი თვეც არ გასულა იმ დღიდან, რაც ამხანაგური სასამართლო მომიწყეთ ჩემი კლასის ამხანაგებთან და მშობლებთან ერთად.

მე იმ დღეს რამდენჯერ ვინატრე მერხზე გავქვავებულიყავი, მომკვდარიყავი, თქვენ გაჯავრებული იყავით, მაგრამ თან დაკვირვებით, ცრემლმორეული მიყურებდით, თითქოს გრძნობდით, რომ სინამდვილის მიღმა კიდევ იყო რაღაც უფრო ნამდვილი, უფრო მართალი.

მე დედას უხეშად ველაპარაკე, დედამ თქვენთან გამცა, ვაღიარე, რომ დამნაშავე ვარ და ამით დამთავრდა, მაგრამ გატყობდით, რომ თქვენ ნამდვილი მიზეზი გაინტერესებდათ. ყველასთან ერთად ვერ ვიტყოდი. ახლა კი უნდა გითხრათ:

მამაჩემი გმირის სიკვდილით დაეცა ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლაში. დავრჩით დედას ორი ობოლი — მე და ჩემი და. და გათხოვილია და ქალაქში ცხოვრობს, ჩვენ სოფელში დავრჩით. დედა გათხოვდა, სახლში მოიყვანა ქმარი თავისი სამი შვილით.

დედა, წელიწადში რამდენიმე თვე ქალიშვილთან (ჩემს დასთან) იმყოფება, შვილების დაზრდაში ეხმარება.

როცა დედა შინ არ არის, მამინაცვალი ცუდად მექცევა. ხშირად სხვენზე მძინავს, ანდა მეზობლებთან.

საქმე იქამდეა მისული, რომ მე მამაჩემისეულ ნაკვეთში, მისი დარგული ხიდან ნაყოფის მოწყვეტის უფლებაც არა მაქვს. ერთხანს დედას არაფერს ვეუბნებოდი — უსიამოვნება არ მოუვიდეთ-მეთქი. ახლა კი ყველაფერი ერთად დაგროვდა. გაბრაზებულმა ვკადრე დედას ყველაფერი და უფრო მეტად ჩემს დას, ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა დაინტერესდნენ, რა დღეში ვარ, როცა დედა მასთან არის? სხვა ვინ მყავს ამ ქვეყანაზე!

აი, ეს იყო ის დიდი მიზეზი, რაც თქვენც გაინტერესებდათ და მეც მინდოდა მეთქვა თქვენთვის.

* * *

ასე არ შეიძლება, საერთოს გამონახვაა საჭირო. ობლების პატრონმა ახალგაზრდა ქალმა მარტო ვერ გაიკვლია ცხოვრების გზა. მამინაცვალსა და ბიჭს შორის მშვიდობის ჩამოგდებაა საჭირო, სიძულვილი უნდა ამოიფხვრას, ბევრია სამუშაო...

**მასწავლებელი.**

* * *

**მასწავლებელო!**

ეს ერთი წელია, ჩემმა ძმამ ცოლი შეირთო. არ მავიწყდება ის დღე, როცა ჩემმა რძალმა ჩვენი ოჯახის კარი მორიდებული ღიმილით შემოაღო. სიყვარულით გადაგვკოცნა ყველა, შემდეგ კი ნიბლიასავით ამოუდგა მხარში ჩემს ძმას, ძალიან შემიყვარდა. კარგი გოგონაა, ჭკვიანი, მშრომელი. უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. ახლა პატარაც ჰყავს. სწავლას, ქმარ-შვილის მოვლას ბევრი შრომა და ჯაფა სჭირდება, ზოგჯერ მთელ ღამეს ათევს ბავშვთან. როგორც შემიძლია ვშველი, მაგრამ მეტი ჯაფა მაინც მას ადგია. გახდა, ფერი დაკარგა.

მე ვეფერები, ჩემი ძმაც, მამაჩვენიც. დედაჩემისათვის არასოდეს არაფერი უკადრებია, არც სიტყვით, არც საქმით, მაგრამ დედა მაინც ვერ ეგუება, ჩვენ რომ შევიცოდებთ, ის ბრაზობს — რა აქვს შესაბრალი, მეც ეგრე წვალებით დაგზარდეთო.

ჩვენი რძალი ხშირად, ძალიან აზრიანად, შინაარსიანად მსჯელობს, მაგრამ დედაჩემი არასოდეს მხარს არ უჭერს, ყოველთვის მის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს. რძალი ჩერდება, არ ეწინააღმდეგება.

არ მინდა ასე გაგრძელდეს მასწავლებელო, დედაჩემი თქვენ ძალიან დიდ პატივსა გცემთ, გთხოვთ, თქვენებურად ჩაერიოთ საქმეში. მინდა, ჩემს რძალს ისევ ისე დასთამაშებდეს ბედნიერი ღიმილი, როგორც იმ საღამოს, ჩემმა ძმამ პირველად რომ შემოიყვანა სახლში.

* * *

ჯიუტი ქალია, გაუტეხავი, ჩვენი ადრეული წლები სიძნელეებით იყო აღსავსე. სურვილი აქვს მისი რძალიც ისევე ეწვალებოდეს, როგორც თვითონ ებრძოდა ცხოვრებას. ცალკე გადავიდნენ — ასე სჯობია.

**მასწავლებელი**

* * *

**მასწავლებელო!**

ვწერ, და თან სად დავიმალო, აღარ ვიცი. ვწერ და არ ვიცი მართალი ვარ თუ არა, იქნებ, ნინო მეგობრულად, ამხანაგურად მომენდო და არ უნდა გავთქვა, მაგრამ გულზე მძიმე ტვირთად მაწევს. ვის ვუთხრა, თუ არა თქვენ, თქვენ კარგად შეგიძლიათ განსაჯოთ — შეიძლება თუ არა ასე გაგრძელდეს.

მასწავლებელო, ნინო ცაგარელმა მითხრა, ზურაბი მიყვარსო. მერე და ეს შეიძლება? თქვენ ხომ ხშირად გვარიგებთ, და-ძმასავით უნდა გიყვარდეთ ერთმანეთიო.

ბევრს ვფიქრობ, გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები ამ მდგომარეობის ალსაკვეთად, ვიდრე კლასში გახმიანდება.

* * *

ნინო და ზურაბი ბავშვები არიან, კარგი ბავშვები, სკოლას და მშობლებს არ შეარცხვენენ: კარგია, რომ ვიცი, შემდეგ კი ვნახოთ...

**მასწავლებელი.**

* * *

**მასწავლებელო!** ვწერ ჩემი ოჯახის ყველაზე დიდ საიდუმლოს, ვწერ გულახდილად, დაუფარავად. მინდა თქვენ ერთს გაგიხსნათ ჩემი გულის კარი. ჩვენ ყველას ბედნიერი ვგონივართ. დედას ხშირად ეტყვიან ხოლმე: ბედნიერი ქალი ხარ, ჯანმრთელი, მშრომელი, კარგი ქმარ-შვილის პატრონიო. როგორ მინდა, დედა ჩემი მართლა იყოს ბედნიერი.

მამა უმნიშვნელო მიზეზს მნიშვნელოვნად ხდის, მისი შემოსვლა ოჯახში დაძაბულობასა და შიშს იწვევს. დედა უსიტყვოდ ასრულებს მის ყოველ განკარგულებას. მაგრამ ყოველთვის გვარიდებს მათი საუბრის მოსმენას, მეორე ოთახში გავყავართ და გვაფრთხილებს — ჩუმად ვიყოთ.

მამამ დღესაც იჩხუბა, დედამ კარი ისე გაუღო, არ იკითხა, კართან ვინ იყო. „ესე იგი, შენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვის გაუღებ კარსო" — ყვიროდა, ბობოქრობდა მამა და უწმაწურად იგინებოდა, მე გული ხელში მეჭირა, როგორ მინდოდა შევსულიყავი და ყველაფერი მეთქვა, რომ დედა მისი მონა არ არის, რომ ისიც ადამიანია და ერთხელ მაინც კითხოს, როგორ არის, ხომ არაფერი აწუხებს. დედა, საბრალო დედა, სიკეთით სავსე ქალი და ასე გატანჯული? ო, რა დამნაშავეა მამაჩემი!

მამა უსაზღვროდ მიყვარდა. ვიტყოდი „მამა" და მესახებოდა ერთგული, ვაჟკაცური, მშრომელი, გულთბილი და უანგარო კაცი, სწორედ ასეთი იყო იგი. მაგრამ ახლა სულ სხვანაირია.

მასწავლებელო, ჩემო კარგო მასწავლებელო, რამდენ საიდუმლოს იტევს თქვენი გული, ეს საიდუმლოც თქვენ მოგანდეთ, თქვენ იცოდეთ. მინდა მამა ისევ ისეთი იყოს, როგორიც მახსოვს, მინდა, არასოდეს დავინახო დედაჩემის თვალზე ცრემლი. იქნება კი ასე? ვინ იცის! ერთი ასეთი უსიამოვნების მოწმეც გავხდი: გამწარებულმა დედამ ტირილით უთხრა მამას: შენ იმ ქალმა გადაგრია, ოჯახს დაგანგრევინებს, გაგაუბედურებს და მერე გვიან იქნება ყველაფერიო. მამა გადაირია, ყველაფერი დალეწა და სადღაც წავიდა. ჩვენ არ გვძინებია, დედა ტიროდა. ვინ არის ის ქალი? რა უნდა, ჩვენ შორის რად ჩადგა? რატომ აგვიფორიაქა მყუდრო ცხოვრება?

რამდენი უძილო ღამე მაქვს, მასწავლებელო, იქნებ ისიც მასწავლო, რა გავაკეთო, როგორ ვუშველო დედას?

* * *

ამოვისუნთქე. ახლა მყუდროებაა პატარა ნოდარის ოჯახში, ტკბილად სძინავს ბიჭს.

**მასწავლებელი.**

* * *

**მასწავლებელო!** თქვენ რომ წერილობით არ მოგეთხოვათ ეს დავალება, მაინც ვაპირებდი ყველაფერი მეთქვა თქვენთვის, ჩემი აზრიც გამომეთქვა ჩვენს ოჯახში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ყური დამეგდო, რას იტყოდით, სწორად ვმსჯელობ თუ არა.

ჩვენს ოჯახში ეს ორი თვეა დიდი თავსატეხი გაჩნდა! ჩემი და, რომელიც თბილისში, უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, ცოლად გაჰყვა თავის რჩეულს — თბილისელ სტუდენტს, პატიოსანი ოჯახის შვილს, გაჰყვა ჩვენების თანხმობის გარეშე, მამაჩვენი წინააღმდეგი იყო — თვითონ სტუდენტია, შენ რით უნდა შეგინახოს, მშიერმწყურვალი უნდა იყოო. ჩემი და მაინც გაჰყვა ცოლად იმ ახალგაზრდას.

მაგრამ ჩემმა დედ-მამამ ისე მოაწყეს, რომ ინსტიტუტში მიმავალი გზიდან მოიტაცეს, ჩასვეს მანქანაში და შინ მოიყვანეს. ჩემი და პირქვე ემხო საწოლზე. ტიროდა, ძალიან მიყვარს, უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, ჩვენები კი გულქვად შესცქეროდნენ.

— შენ, რა იცი, რა არის სიყვარული, რომ იცოდე, ის შეგიყ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდებოდა? — უუბნებოდა მამა. დედაც კვერს უკრავდა.

საქმეში ნათესავი ქალიც ჩაერია: გოგო, რა გატირებს მამაშენის ქონების პატრონს. ისეთ ვაჟკაცს გავაყოლოთ, თავს დაგნატროდნენო.

მასწავლებელო, გავოგნდი, ლამის გავგიჟდე, რა ეშველება ჩემს დას, რა მეშველება მე? სულ არ მინდა ასეთი ქონება და ცხოვრება! ჩვენს ოჯახში სხვა თემაზე არასოდეს არ ლაპარაკობენ, მსჯელობენ მხოლოდ იმაზე, რამდენი იშოვეს, რა იყიდეს, ყოველ თვეს მამა სადღაც მიფრინავს, ხან დედაც მიემგზავრება იქ. ჩამოიტანენ ათასნაირ ხარახურას. ოთახები მუზეუმს გავს, მოსულ სტუმარს დაატარებენ და სიამაყით უყვებიან თითოეული „საკვირველების" ყიდვის ისტორიას.

ნუთუ ფულია სიყვარული, პატიოსნება, მეგობრობა, ბედნიერება? განა არა ვარ მართალი? ვიცი, რომ მართალი ვარ, მასწავლებელო. მაგრამ რა ვუშველო ჩემს ერთადერთ დას, რომელსაც ასე გაუმწარეს სიცოცხლე? დამარიგეთ, მითხარით!

* * *

გონიერია ბიჭი, კარგად გაიკვლევს ცხოვრებაში გზას, იცის, რა არის კარგი და ავი. უნდა დავეხმარო.

მასწავლებელი.

* * *

**მასწავლებელო,** მე თქვენ უსაზღვროდ, უზომოდ მიყვარხართ. მიყვარხართ ყველაფრისათვის, დედასავით თბილი და კეთილი ხართ, ალალ-მართალი, მიუკერძოებელი, გული ყოველთვის მისკენ მიგიწევთ, ვისაც მეტად ჭირდება დახმარება, ყურადღება.

თანაბრად მიყვარხართ, თქვენცა და დედაჩემიც, მიყვარხართ ძლიერ. მამაც ძალიან მიყვარს, უფრო მეტად კი იმიტომ, რომ დიდ შეფასებას აძლევს მასწავლებლის პროფესიას. როცა ამ საკითხზე საუბრობს, ყოველთვის დაასკვნის ხოლმე, ამაზე ღირსეული პროფესია ღმერთს არ გაუჩენიაო, სავსებით სწორია დიდი ჩეხი პედაგოგის კომენსკის სიტყვები — არ არსებობს მასწავლებელზე უფრო დიდი თანამდებობა ამ მზის ქვეშო. ეს ისე, ამით მინდოდა გამომეხატა სიყვარულისა და პატივისცემის დიდი გრძნობა. ახლა კი უნდა გაგიზიაროთ ის, რაც ჩემს მეტმა არავინ იცის (მგონი, არავინ). ორი წელია, რაც სკოლის კარებთან მხვდება ქალი, რომელიც ადრე მხოლოდ მითვალთვალებდა. წელს კი, როცა დამიმარტოხელებს, მეფერება, მხარზე ხელს დამადებს და ასე მაცილებს სკოლის კარებამდე. მე გაოცებული ვუყურებ ამ ქალს. ამ ორიოდე დღის წინათ უცნაური რამ მითხრა: ვითომ მე მისი შვილი ვარ, სრულიად პატარა მიმიყვანა ბავშვთა სახლში. იქიდან კი ამ ოჯახმა, სადაც მე ვცხოვრობ, წამომიყვანა გასაზრდელად, რადგან ცოლ-ქმარი უშვილო იყოო.

ამ ქალის ნათქვამმა საშინლად ამაღელვა. სიბრაზე ყელში მწვდა, მოვუსმინე და მხოლოდ ერთი შევეკითხე: მერე და, პატივცემულო დედა, რად მიმიყვანე საბავშვო სახლში? რატომ დამმალე, რითი შეგარცხვინა ჩემმა გაჩენამ-მეთქი.

მან ტირილი დაიწყო და ათასნაირად იმართლა თავი. მერე ისიც დაუმატა: ავად ვიყავი და შემნახავი არავინ მყავდაო.

მოვუბოდიშე, ასე ატირებულს რომ ვტოვებდი და ვთხოვე: ჩემთან აღარ მოხვიდე-მეთქი. მაინც მოდის, ტირის, მეხვეწება, რომ მიფერების ნება მივცე. მე არ შემიძლია ამ ქალის დანახვა, ვემალები, ორჯერ სკოლას უკან შემოვუარე და ფანჯრიდან გადმოვხტი საკლასო ოთახში. ერთხელ თქვენც შემასწარით თვალი და გამიჯავრდით.

ხშირად, როცა მარტო ვრჩები, ჩემს თავს ვეკითხები: იქნებ, შევეცოდო, ნება დავრთო ხანდახან შემხვდეს და მომეფეროს? ბევრს ვფიქრობ და საბოლოოდ მივდივარ ერთ დასკვნამდე, რომ ეს ქალი უცხოა ჩემთვის. მაშ, რატომ ხდება, რომ ის ტირის, მე კი არ მეცოდება. ნეტავი მომასვენებდეს ეს ქალი!

რა მეშველება, დედაჩემმა რომ გაიგოს? ალბათ, ამ ამბის მსხვერპლი გახდება. მერე და ვისთვის? — ქალისთვის, რომელმაც ბავშვი ჩვარივით გადამაგდო და ახლა კი, როცა გაზრდილი, მოვლილი, დავაჟკაცებული მნახა, უნდა დედა დავუძახო? რა მწარეა და რა სასაცილო!

ვიცი, დაგაფიქრებთ ჩემი წერილი. ვიცი, ბევრს უძლებთ, ჩემო კეთილო მასწავლებელო და ეს დარდიც ჩემთან ერთად გაიზიარეთ.

* * *

ბავშვის დაკარგვა არ შეიძლება, ბევრია სამუშაო...

მასწავლებელი.



გივი გეგეჭკორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარებისათვის

# ჭიანჭველა

## იან ბჟეხვას მიხედვით

ხარს ჰკადრეს:
პატივცემულო!
ხარმა იკითხა:
— რა გინდათ?
— თუ შეიძლება, სკოლაში
რომ მიგვიტანო მაგიდა!

ხარმა თქვა:
— რა ვქნა, არ მსურდა,
რომ შემერცხვინა პირიო,
მაგრამ დღეს არა მცალია,
მოიმსახურეთ ვირიო.

ვირმა თქვა:
— რა გსურთ, რას მერჩით,
ნამდვილად გადავირევი,
ცხვარმა წაიღოს, სკოლაში
როდის დადიან ვირები?

ცხვარმა იფიქრა:
„რად მინდა,
თუ გამიწყდება ქანციო,
ისევ ვაცს დავიყოლიებ,
ღონიერია ვაციო".

ვაცმა თქვა:
— რა ვქნა, წავიღებ,
თანახმა რომ ვარ,
ვიყვირო?
თან ფიქრობს:
„ეს რომ წავიღო,
ვიქნები ცხვარზე ბრიყვიო".

ადგა და ძაღლი მონახა,
ძაღლმა უღრინა:
— რა გინდა?
— კეთილო ძაღლო, სკოლაში
გთხოვ მიიტანო მაგიდა!..

ძაღლმა თქვა:
არ მეზარება,
ზურგით მაგიდა ვატარო,
მაგრამ რა ძალა მადგია,
აგერ კრუტუნებს კატაო.

ადექი! —
— კატას უღრინა —
ნუ გეზარება, ზარმაცო,
კნუტებს მაგიდა არ უნდათ,
დარეკა სკოლის ზარმაცო!

ძაღლი აღარა ხუმრობდა,
კატამ
ახედა,
დახედა,
და არაფერი არ უთქვამს,
ისე წავიდა თაგვებთან.

უთხრა:
— სკოლაში მაგიდა
უნდა წაიღოთ, თაგვებო,
თორემ წინ დასატირებლად
თქვენს ცხედრებს დავილაგებ

იქით გაიქცნენ თაგვები,
აქეთ გაიქცნენ თაგვები
და ობობასთან მივიდნენ:
— ობობავ, იცი, რა გველის?
გვიშველე შენი ჭირიმე...

მაგრამ, შეხედეთ ობობას,
უეცრად მოიმიზეზა
ობობამ ავადმყოფობა:
— რა ვქნა,
სიცხე მაქვს,
არა ვარ
მატყუარა და ვერაგი,
მაგიდას ბუზი წაიღებს,
გასაწური მაქვს პერანგი...

ბუზმა კი ეს რომ გაიგო,
მწუხარედ თავი ჩაკიდა:
„ნეტავ რა მიმათრევინებს
ახლა სკოლაში მაგიდას!
მოვნახავ ჭიანჭველასა,
ფუ გინდა სკოლის შენობას
ასწევს და წამოიკიდებს,
ეგ არის მისი ხელობა".

მივიდა ჭიანჭველასთან
და ასე უთხრა:
— ძმაკაცო,
მაგიდა უნდა წაიღო,
ნუ დაიზარებ მაგასო.
ჭინჭველას სიტყვა არ უთქვამს,
ჩუმად გამოძვრა ნაგვიდან,
ადგა და ზურგზე მოიგდო
უზარმაზარი მაგიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყველაზე სწრაფი ხელები

...სექტემბრის თბილი, მზიანი დღე იყო, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელ ფართობში ჯგუფ-ჯგუფად მოედინებოდა ხალხის ნაკადი. ახალგაზრდებს შორის იყვნენ ვეტერანი კომკავშირელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საქართველოს ტელევიზიის მუშაკები. შეკრება, რომლის ორგანიზატორი იყო მახარაძის კომკავშირის რაიკომი, მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის 50-ე წლისთავს. ამავე დროს შეკრების მიზანი იყო გამოევლინებინა საუკეთესო ახალგაზრდა მეჩაიე.

ჩატარდა მართლაც ორიგინალური კონკურსი-შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქობულეთის, ზუგდიდისა და მახარაძის რაიონების საუკეთესო ახალგაზრდა მეჩაიეები. გამარჯვებულის გამოსავლენად შეიქმნა სპეციალური ჟიური. მიეცა სტარტი და შეჯიბრების მონაწილეებმა კრეფა დაიწყეს. ამ თავისებურმა კონკურსმა სპორტული ჟინით აღანთო მკრეფავებიცა და მაყურებლებიც, რომლებიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ყოველი მეჩაიეს მოძრაობას, ტაშით ხვდებოდნენ მწკრივში დაწინაურებულებს, ამხნევებდნენ ჩამორჩენილებს.

გამარჯვება იოლი როდი იყო, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ისეთი სახელმოხვეჭილი მეჩაიეები, როგორიცაა ნანული კაიკაციშვილი, ქენია სულაქველიძე, ავთანდილ გოგიტიძე, ოთარ ხიმშიაშვილი, ზინაიდა ბეჟვაია, ოლია ხუხუნაშვილი, ზაირა გედენიძე, ნათელა ვაჩეიშვილი, ნათელა ნადირაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სვეტლანა ნიკოლაიშვილი, ლატავრა სკამკოჩაშვილი და სხვები.

შეჯიბრებამ ერთ საათს გასტანა და აი, მწვანე ოქროს კალათები სასწორთან ჩამწკრივდა. ჟიურიმ კონკურსში გამარჯვებულად სცნო მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს მოწინავე მეჩაიე ლატავრა სკამკოჩაშვილი, რომელმაც ერთი საათის განმავლობაში 19,3 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

ათი წელია, რაც ლატავრა სკამკოჩაშვილის სახელი გაგვაცნო პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ ლატავრა შრომითი ცხოვრების გზას დაადგა.

იმ ადგილას, სადაც ლატავრას 7.000 კვ. მეტრი ჩაის პლანტაცია მიუზომეს, ზეგანს ეძახიან. პლანტაციას მზრუნველი ხელი აკლდა. მეჩხერი და დაბალმოსავლიანი იყო. ქალიშვილს გული არ გატეხია, იცოდა, რომ პლანტაციას ყოველდღიური ზრუნვა სჭირდება, ბუჩქებს — შვილივით მოვლა. ხოლო თუ ვერ გაუგე, როდის რა სჭირდება, ვერაფერს გახდები. ამიტომაც დაათვალიერა და შეისწავლა ლატავრამ ყოველი ბუჩქი, სასწრაფოდ მიიღო აგროტექნიკური ღონისძიებანი, დროულად ჩაატარა ყველა მოსამზადებელი სამუშაო და განახლებული, გაცოცხლებული პლანტაციიდან ახალგაზრდა მეჩაიემ დედასამშობლოს შვიდი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა.

1967 წელს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" ლატავრა სკამკოჩაშვილი წერდა: ზოგჯერ მეკითხებიან, თუ როგორ ვაღწევ მაღალმოსავლიანობას ჩემს ნაკვეთზე. არავითარი განსაკუთრებული საიდუმლო არა მაქვს. უბრალოდ, საჭიროა სწორად დაიცვა ყველა აგროტექნიკური წესი, ზუსტად გამოიცნო, თუ როდის ჩაატარო ესა თუ ის პროცესიო.

შრომაში მოპოვებული წარმატებისათვის ლ. სკამკოჩაშვილი 1966 წელს დააჯილდოვეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის", აირჩიეს კომკავშირის მახარაძის რაიკომის წევრად. ახლა მისი საფიქრალი იყო კიდევ უფრო გაედიდებინა მოსავლიანობა, და აი, 1967 წელს 7.500 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა უპატაკა სამშობლოს. იმავე წელს იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს, მალე ლატავრა სკამკოჩაშვილი თანასოფლელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს.

— ძალღონეს არ დავზოგავ, თავდადებული შრომით გავამართლებ ამ დიდ ნდობას, — სიტყვა მისცა მან ამომრჩევლებს. და კიდევაც გაამართლა, — მომდევნო სეზონი 9.500 კგ ხარისხოვანი ჩაის ფოთლით ხელდამშვენებულმა დაამთავრა.

ასეთი მაღალი შრომითი მაჩვენებლისათვის მას, როგორც ახალგაზრდა დეპუტატს, პატივი დასდეს სიტყვით გამოსულიყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. პლენუმის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს ქართველი მეჩაიეს საქმიანი სიტყვა.

გასულმა წელმა კიდევ ერთი დიდი სიხარული მოუტანა გამრჯე მეჩაიეს; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავის საიუბილეო დღეებში იგი „ოქტომბრის რევოლუციის" ორდენით დააჯილდოვეს. ჯილდომ ფრთები შეასხა ენარიან მეჩაიეს და ივალდებულა მიმდინარე წელს 0,7 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.100 კილოგრამისა, მოკრიფოს 9.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. გვჯერა, როგორც ყოველთვის, მისი სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

ტარიელ ხავთასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ გვწერენ

# დედა სოფლისა

სოფელ მუხურში, მდინარე ხობისწყლის პირას, ერთ ძველებურ ოდასახლში ცხოვრობს 80 წელს გადაცილებული პენსიონერი პედაგოგი, ლენინის ორდენოსანი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ვერა ასათიანი-კუხალეიშვილი. იგი 1910 წელს ჩავიდა სოფელ მუხურში მასწავლებლად და მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. მუხურის სკოლის ყოფილი მასწავლებელი, აწ განსვენებული ივანე კუხალეიშვილი იგონებდა: ამ ახალგაზრდა მასწავლებელში იმდენი სათნოება და სიკეთე, გულისხმიერება და სიბეჯითე, სისპეტაკე და ადამიანური სითბო იყო, რომ იმ ხანად ბევრ ჩემ თანასოფლელს ვერა მასწავლებელი წმინდა ნინოდ ეხატებოდაო.

პედაგოგის მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ მაზრისა და გუბერნიის განათლების ზედამხედველები. საგუბერნიო ზედამხედველს იზმაილოვს მუხურის სკოლის შემოწმების აქტში ჩაუწერია: შორი გზა გამოვიარე, მაგრამ არა ვარ უკმაყოფილო ამ მგზავრობით. გუბერნიის ყველაზე შორეულ მთის სოფელში ვნახე გუბერნიის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი ვერა ასათიანი-კუხალეიშვილი, რომლის გაკვეთილი და განსაკუთრებული ხმა, სანამ ცოცხალი ვარ, არასდროს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდანო.

მენშევიკების უდღეური ბატონობის პერიოდში ვერას კარგახანს უხელფასოდაც უმუშავნია. საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც ბევრი სიძნელის გადალახვა დასჭირდა ვერას. იგი იყო მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიისა და ხატვის მასწავლებელი, და განა იმიტომ, რომ ყველაფერს ებღაუჭებოდა? არამედ იმიტომ, რომ ვერა იყო ერთადერთი, რომელსაც საჭიროების დროს ყველა მასწავლებლის შეცვლა და სკოლის გაჭირვებიდან გამოხსნა შეეძლო. იგი იყო სოფლის პირველი კოლმეურნე ქალიც, თანასოფლელ გლეხებთან ერთად კაფავდა და ამუშავებდა ეწერ მიწებს ჩაის პლანტაციისათვის. ვერა იყო სოფლის პირველი აგიტატორი და დეპუტატი, ყოველ კარგ წამოწყებათა ერთ-ერთი ინიციატორი, ყველას მიმართ დედასავით ტკბილი და საყვარელი, ასეულობით სახელოვანი ადამიანის აღმზრდელი, ექვსი შვილის დედა და დედა სოფლისა... იგი ყველაფერს ასწრებდა, ყველგან ტოვებდა თავისი თავდადებული შრომის ნათელ კვალს, არავის ახსოვს ვერა წონასწორობა დაკარგული ან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი. სამამულო ომში ორი შვილის დამკარგავი დედა, საკუთარ დარდს გულში იკლავდა, ცრემლებს მალავდა, დამწუხრებულ ოჯახებში დადიოდა, ამხნევებდა და მწუხარებას უმსუბუქებდა.

50 წელი სკოლაში! რამდენი გაკვეთილი ჩაუტარებია და მისი ყოველი გაკვეთილი, მისი ცოდნა, დიქცია, ტაქტი და მანერა შეუდარებელი იყო.

დღევანდელ დღესავით მახსოვს სკოლაში გატარებული დღეები... გაიღებოდა საკლასო ოთახის კარი, შემოვიდოდა საყვარელი მასწავლებელი. ჟურნალს მაგიდაზე დადებდა, ოდნავ გაიღიმებდა და ყოველგვარი შესავლის გარეშე, ხავერდოვანი, ტკბილი ხმით დაიწყებდა გაკვეთილს. ოსტატურად ბეჭდავდა თითოეული მოსწავლის გონებაში ყოველ აზრს, ყოველ ფრაზას. დაუვიწყარია ის ოსტატობა, რომლითაც იგი კითხულობდა დიდი ილიას „კაცია ადამიანი?!" იცვლიდა ხმას. თვალწინ წარმოგვიდგენდა ნაწარმოების გმირებს. მოსწავლეები ჯერ ვიღიმებოდით, მერე თავს ველარ ვიკავებდით და ხმამაღლა ვიცინოდით. ვიცინოდით წრფელი, ბავშური სიცილით. ზოგჯერ ნაღველიც მოგვერეოდა და ვტიროდით გოგია უიშვილის, ელისოს, კაკო ყაჩაღის, ოთარაანთ ქვრივის ბედზე, ასე ძერწავდა, გვიცოცხლებდა ვერა მასწავლებელი გმირთა ხასიათებს, ასე განგვაცდევინებდა მათ ბედსა და უბედობას და მოსწავლეებში ზრდიდა პატიოსნების, ჰუმანურობის, სამართლიანობისა და სამშობლოსათვის თავდადების უკეთილშობილეს გრძნობებს.

მისაბაძი და სამაგალითო იყო ვერა მასწავლებლის ყოველი ნაბიჯი არა მარტო აღსაზრდელებისათვის, არამედ მისი კოლეგებისათვისაც. მან, ჯერ კიდევ ენერგიით სავსემ, მოულოდნელად მოისურვა პენსიაზე გასვლა და როცა პედაგოგებმა წყენა და გაოცება გამოვხატეთ, ასე დაგვაშოშმინა: — არა, შვილებო, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როდის გავიდეს პენსიაზე. თუ იმას დაუცდის, რომ არც ერთი კბილი აღარ შერჩება და მახსოვრობა დაეკარგება, სიარულის მაგივრად ფამფალს დაიწყებს, სმენა დააკლდება, თავს სასაცილოდ გაიხდის და, შეიძლება, ის ღვაწლიც შეურაცყოს, რაც ადრე გაუწევია...

დღევანდელ ჩემს მოსწავლეებს დავამახსოვრდები ისე, როგორც დღეს ვარ...

დიახ, მან თავისი გაიტანა და წავიდა...

ახლახან პატივცემულ ვერას, დაბადების 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ მის მოსწავლეებს ისეთი ახსოვთ, როგორიც იყო. მხნე, ენერგიული და სიკეთით სავსე.

ბორის ჩიქოვანი,

სოფელი მუხური, ჩხოროწყუს რაიონი.

ალექსანდრე ტაბატაძე

### ტყისმჭრელები

უთენიაზე ტყეში შეცვივიან
და ძილს დაუფრთხობენ
შემოგარენს დუმილით სავსეს...
უბრალო რამეზე ისე ეცინებათ,
როგორც გულუბრყვილო ბავშვებს.
მერე ნაჯახებს მუხლებს ქვემოთ შემოჰკრავენ
ფიჭვებს და წიფელებს...
და ტოტებს,
როგორც სანატრელი ცოლების მკლავებს,
ძილის დროს,
მზეში გაშხლართულნი თავქვეშ იფენენ.
მერე ტოტებსაც
ორმოებში ჰსაფლავებენ
და მაღალ ხეებს
ჭრიან და ჭრიან...
ვახშმობისას კი
კითხულობენ ვაჟა-ფშაველას,
და ბავშვებივით ცხელ ცრემლებს ღვრიან.

### ზაფხული

მზეს ძლივს უსწორებს მოჭუტულ თვალებს.
და ცხელ ასფალტზე ბარბაცით მოდის,
მისი სახელით აცხუნებს მთვარეც
და ჩრდილს დაეძებს ტირიფის ტოტი.
წანწკარა წყაროს უჩნდება საქმე,
და მტკვარს ტალღები წვალებით მიაქვს,
ყველგან ყურთამდე აღებენ სარკმელს
და პატიჟობენ ოთახში ნიავს.
ასკინკილათი გადარბის ხიდზე,
ყვითლად ცახცახებს, უსტვენს, უხარის,
და შიშველ მკლავებს ეხვევა ისე,
როგორც დაშაქრულ მტევანს ფუტკარი.

შოთა ზოიძე

### თამთა

შენა ხარ თამთა,
შენა ხარ თამთა,
შენ შეგისრულდა წელი რამდენი?
თუ ნებას დამრთავ,
თუ ნებას დამრთავ,
შენი მთებიდან ზამთარს გავდევნი.
შენა ხარ თამთა,
შენა ხარ თამთა,
შენი მთებიდან გავდევნი ზამთარს,
თუ ნებას დამრთავ,
თუ ნებას დამრთავ,
შენთან ვიქნები ზაფხულ და ზამთარ.
თამთა, ეგ შენი სიზმრების კალთა
ცისფერია და ცასავით ფართო,
ახლა ღამეა და ვდგავარ მარტო
შენი ლამაზი ოცნების კართან.

ახლა ვკამათობ საკუთარ თავთან,
(ჩემმა უფალმა და ჩემმა ღმერთმა)
რომ ვინადირო ირმთან და ჯანგთან
და ვეფხვის ტყავი გაგიგო ფერხთა.

აღარ ხარ თამთა, საკუთარ თავთან,
საკუთარ თავთან აღარ ხარ, თამთა,
შენ შეგისრულდა თვრამეტი წელი,
თვრამეტი წელი, ესოდენ მწველი,
შენ ახლა რაღაც სასწაულს ელი
და ვეფხვის ტყავზე მზე წვება ცხელი,
შენ ახლა რაღაც სასწაულს ელი.

## „პური ჩვენი არსობისა"

# ჩვენი პრიზიორები





118/3

მიმდინარე წლის თებერვალში თბილისში ჩატარდა საკავშირო კინო-ფესტივალი, რომელმაც დიდი მღელვარება გამოიწვია ჩვენი დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ფესტივალზე წარმოდგენილმა მთელმა რიგმა ქართულმა ფილმებმა ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა, მათ შორისაა დოკუმენტურ-ქრონიკალური ფილმი „ოქროს საწმისი", რომელმაც კინოფესტივალის მეორე პრემია დაიმსახურა. ფილმის რეჟისორები არიან იზოლდა შველიძე და ჟუჟუნა ლომიძე.

„ოქროს საწმისით" დაინტერესებულთ საშუალება მოგვეცა, კიდევ ერთხელ გვენახა ამ ნიჭიერი რეჟისორების სხვა ნამუშევრებიც.

ეკრანზეა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით გადაღებული დოკუმენტური ფილმი: „საქართველოს სამხედრო გზა". რა კარგად იციან რეჟისორებმა თავიანთი ქვეყნის კუთხე-კუნჭული, რა მარჯვედაა მიგნებულ-მოძებნილი ყოველი კადრი, რა მოხერხებულად გამოუყენებიათ მათ ეს თემა, რომ თავისი ქვეყნის აწმყო და წარსული ასე ნატიფად, ფერადოვნად და ამაღელვებლად გაეცნოთ მაყურებლისათვის.

ვნახეთ მათივე ფილმები „ვანის ნაქალაქარი" და „საქართველოს მინერალური წყლები". რეჟისორ ქალთა ეს მშვენიერი დუეტი შესანიშნავად ფლობს თავისი ქვეყნის მელოდიებს და მსმენელამდის დამაჯერებლადა და ლამაზად მიაქვთ ისინი.

ჩვენი წერილის მიზანი კი მაინც ოქროს საწმისია": ამ ფილმის სახელწოდებას ქართველი კაცი გულგრილად ვერ მოისმენს, მაშინვე ნაცნობი ფიქრები აეშლება. მაგრამ როგორც კი ეკრანზე პირველი კადრი გაიელვებს და დიქტორის დინჯი, ახლისმაუწყებელი ხმა გაისმება, მაშინვე ხვდები, რომ სხვა „საწმისზე" იქნება აქ ლაპარაკი.

ეკრანი ივსება თავყვითელა, ჩახჩახა მზესუმზირებით. ეკრანზე იმდენი სინათლე, ფერების ისეთი თამაშია, მზესუმზირებიც ისე ყელყელაობენ, რომ გვერდით მჯდომ მაყურებელთან ერთხელ კიდევ აზუსტებ: „ოპერატორი ცარიელ ელიაშვილია ხომ?!"

მზესუმზირები არაა ფილმის თემა, ეს, ისე, პროლოგივით დასჭირდათ სცენარის ავტორებს გაბრიელოვასა და შულცს.

ეკრანზე პურის ყანა აშრიალდა. მაგრამ თვალს რაღაც უცნაურად ხვდება იგი. თითქოს ჰგავს კიდეც და არცა ჰგავს, ჩვენთვის ნაცნობ თავთავ დამძიმებულ პურის ყანას. ეჭვს დიქტორის სიტყვები ადასტურებს;

— ყურადღებით დააკვირდით! თქვენს წინაშეა ხორბლის ჯიში, აღმოცენებული ქვის ხანაში, ნეოლითის ეპოქაში, რაჭა-ლეჩხუმის მიწაზე,—მთელ მსოფლიოში ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ახლა ხორბლის ეს ჯიში ხარობს, არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ხორბლის კულტურები ოდნავადაც არ განსხვავდებიან ამ ხორბლისაგან, ხორბლისაგან, რომლის ბებიის ბებიისაგანაც წარმოსდგა დღევანდელი პური ჩვენი არსობისა.

— ხორბლის „მოშინაურების" ისტორიას ძალიან შორს მივყავართ, მაგრამ რამდენადმე მაინც შესაძლებელი ხდება გენეტიკური კავშირის დადგენა ხორბლის უძველეს კულტურებთან.

ეს უძველესი კულტურები კი, დაკონსერვებული სახით შემონახულია მხოლოდ და მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმში. არც ერთ სხვა ერს არ გააჩნია ხორბლის კულტურის მსგავსი ფონდი. იგი მხოლოდ ქართული არქეოლოგიის ისტორიაში, ქართულ ლექსიკონში და თანამედროვე აგროკულტურაშია ცნობილი „მახას", „ზანდურისა" და „ძველკოლხური პოლბას" სახელით.

სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ოქროს საწმისი" მეტად საინტერესოდ და დამაჯერებლად მოუთხრობს მაყურებელს ამ უძველესი ქართული ხორბლის ჯიშების აღმოჩენისა და გამოყენების შესახებ. მოუთხრობს ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ვლადიმერ მენაბდის დაუღალავ შრომა-ძიებაზე, მან პირველმა აღმოაჩინა ხორბლის ეს კულტურები ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში რაჭა-ლეჩხუმის სოფლებში და დღესაც განაგრძობს მათ შესწავლას.

მცენარეები ისე იცვლიან სახეს ადამიანის ხელში, რომ ძნელი გამოსაცნობია ის ველური მცენარეები, საიდანაც ისინი წარმოიშვნენ. ჩვენი ხორბლის კულტურების წინამორბედნი კი დღემდე არ არიან ნაპოვნი, ამბობდა ფ. ენგელსი.

და აი, ეს ფილმი თითქოს პასუხია გენიოსის კითხვაზე. დღევანდელი ხორბლის წინაპრებია „ზანდური" და „მახა". ეს ჯიშები მოსავლელად ძნელია, დამწიფებისთანავე თავთავები იშლება და მარცვალი სცვივა, — ამიტომ მას დამწიფებამდე მკიან ორი ჯოხისაგან გაკეთებული სამკალი იარაღით, რომელსაც შნაკვი ჰქვია და რომელიც, ალბათ, ნამგლის წინაპრად უნდა ჩაითვალოს. ჯერ კიდევ ნედლ თავთავებს ძნებად ჰკრავენ, ჭერზე ჰკიდებენ გასაშრობად ქვემოდან ცეცხლს უნთებენ და ცეხვავენ. მიუხედავად მისი მოყვანის სირთულისა, ეს ჯიში საოცრად გამძლეა, არ ავადდება. მისგან გამომცხვარი პური მეტად გემრიელი და არომატულია. მაგრამ მთავარი, რაც მაყურებელს აოცებს ისაა, რომ მეცნიერები გაბედულად ავითარებენ აზრს, ხორბლის სამშობლო საქართველოა და მსოფლიოში გავრცელებული ყველა სხვა ჯიში „მახასა", „ზანდურისა", და „ძველ კოლხურ პოლბას" შთამომავალიაო.

მამაცი ბერძენი იაზონი კოლხიდაში ოქროს ვერძის მოსატაცებლად ჩამოვიდა. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ეს ამბავი ლეგენდის გასალამაზებლადაა მოგონილი, დასძენს სცენარის ავტორი, — იმ განძს კი სულ სხვა სახე ჰქონდა. ეს განძი უძველესი ქართული ხორბლის ჯიშები იყოო.

რეჟისორმა ქალებმა მშვენივრად გაართვეს თავი იმ სირთულეებს, რომლებიც მათ გადაღების პროცესში ხვდებოდათ. ჭკვიანურად, დამაჯერებლად გაიაზრეს ყოველი კადრი და, შესძლეს ამ მცირე, ერთნაწილიან ფილმში, თითქმის მხატვრული ფილმის დონეზე გადმოეცათ ეს მეტად საინტერესო ამბავი.

ნანული ცაგარეიშვილი

# ბავშვები კაპიტალის სამყაროში

კაპიტალისტურ სამყაროში დღეს გაცილებით მეტი ბავშვი შიმშილობს და გაცილებით მეტი ბავშვია წერა-კითხვის უცოდინარი, ვიდრე ამ ათი წლის წინათ.

**ლათინურ ამერიკაში** ცუდი კვების შედეგად ყოველ წუთში, ოთხ წლამდე ასაკის, ერთი ბავშვი კვდება, ე. ი. — 1.440 ბავშვი დღე-ღამეში. გარდა ამისა, ოთხი წლის ასაკამდე, 7,5 მილიონ ბავშვს ორგანიზმის მეორე და მესამე ხარისხის გამოფიტვა აქვს, 15 მილიონს კი — პირველი ხარისხისა.

**არგენტინაში** 7.000 ბავშვს სკოლა თვალით არ უნახავს, ხოლო ვინც სწავლობს, იმათგან ნახევარი თუ ამთავრებს სკოლას.

**აფრიკის** ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვების 95 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცის.

**მოზამბიკაში,** რომელიც პორტუგალიის კოლონიას წარმოადგენს, ბავშვების 98 პროცენტი არ სწავლობს.

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის** ახალი სკოლის პროგრამას საფუძვლად ორი პრინციპი უდევს: „გმირის თაყვანისცემა“ და „საბრძოლო მოვალეობისადმი ერთგულება“. მთავარი მიზანია — თეთრი ახალგაზრდობის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოფიციალური იდეოლოგიის სულისკვეთებით აღზრდა, რაც დაფუძნებულია რასიზმზე, მილიტარიზმსა და ანტიკომუნიზმზე.

ახალი პროგრამით მე-8 კლასის მოსწავლეებს უნდა ასწავლონ „პარტიზანებთან ბრძოლის ტაქტიკა“ და „კომუნისტური მოძრაობის გამომვლავნების ხერხები“.

**აფრიკელი** ბავშვების „სწავლა-განათლება“ ორი-სამი კლასით მთავრდება. მოსახლეობის მხოლოდ 8,8 პროცენტი ახერხებს საშუალო სკოლაში შესვლას. ზანგი ბავშვების 25 პროცენტი პირველსავე წელს ტოვებს სასწავლებელს.

დიდ სიძნელესა და ნაკლოვანებას განიცდიან **მებრძოლი აფრიკის ქვეყნების** ბავშვები. მაგალითად, გვინეაში, სადაც მოსახლეობის 99 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, მხოლოდ ერთადერთი სკოლა არსებობს.

**არც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების** მშრომელთა შვილებია უკეთეს დღეში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ფაშისტური დიქტატურა ბატონობს.

**პორტუგალიის** ათასობით ბავშვი იძულებულია დატოვოს სკოლა და ლუკმა-პურის საშოვნელად წავიდეს სამუშაოზე, აქ 7-9 წლის ბავშვებს იღებენ სამუშაოზე.

ინგლისის კომუნისტების გაზეთი „მორნინგ სტარი“ ამა წლის აპრილში წერდა: „თურქეთის, საბერძნეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის მთელი რიგი რაიონებიდან მრავალი მამაკაცი საზღვარგარეთაა საშოვარზე წასული, მათი შვილები კი უპატრონოდ იზრდებიან და ანა-ბანას სწავლასაც ვერ ასწრებენ და რომ ისინიც მამების გზას ადგებიან. მძიმეა ოჯახის ამ ნორჩ მარჩენალთა ხვედრი. ზოგი ციხეში ვარდება, ზოგი მეტად მძიმე და ჭუჭყიან საქმიანობას ეწევა, ზოგი გაზეთებსა ყიდის და ფეხსაცმელებს წმენდს, ზოგი კი მათხოვრობას იწყებს“.

**იტალიაში,** როგორც ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, ორმა მილიონმა კაცმა წერა-კითხვა არ იცის.

**გინეაში,** 1971-72 სასწავლო წელს, წერს ჟურნალი „ნოი დონე“, დაწყებით სკოლაში შესვლა ვერ მოახერხა 26 ათასმა ბავშვმა.

იოსებ ელენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯიუტი ხასიათი

იუმორი

მაგონდება: ბავშვობაში მოხუცი მეზობლის ქალი როგორ არიგებდა ხოლმე თავის ახტაჯანა შვილიშვილს, ჩემს თანატოლ გოგონას:

— ძალიან ჯიუტი ხარ, სულ შენსას გაიძახი, მუდამ შენი გინდა გაიტანო. სხვის სურვილს არასდროს ანგარიშს არ უწევ. ასე არვარგა. გახსოვდეს, ეს შენი სიჯიუტე ოდესმე ძვირად დაგიჯდებაო...

მაშინ ეს სიტყვები სასაცილოდაც არ მყოფნიდა. უფრო გვიან კი...

საღამო ხანი იყო. მე და ჩემი ცოლი ზეინაბი (სწორედ ის ახტაჯანა გოგონა, სიჯიუტისათვის მოხუცი რომ კიცხავდა) აივანზე ვისხედით და ბინდშემოპარულ ვრცელ პროსპექტს გავყურებდით. ჩემდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ავტობუსის გაჩერება იქვე, ჩვენს ცხვირწინ იყო. სწორედ აქედან დაიწყო ჩვენი უაზრო, გაუთავებელი ჟიდილი.

ზეინაბმა მარცხნივ მიმახედა. ავტობუსიდან ჩვენი მეზობელი ქალიშვილი მზია ჩამოდიოდა.

— ზღვიდან დაბრუნებულა. დახე, რა კარგად მოჰკიდებია მზე. ხომ კარგი ქალიშვილია?.. ნეტავი რატომ არ თხოვდება? მაგის ხელს ყველა ვაჟი ინატრებდა.

მე გულგრილად ავარიდე მზერა მზიას. ეს იმიტომ, რომ საუბარი ეხებოდა ქალიშვილს, რომლის მიმართ რატომღაც თავიდან ანტიპატიურად ვიყავი განწყობილი, მეჩვენებოდა, რომ იგი გადაჭარბებულად პრანჭია და ზიზილ-პიპილების მოყვარული იყო, რაც, ჩემი აზრით, ყველა ქალიშვილს უკარგავს ღირსებას.

— აი, შენ ასეთი ხარ!.. — აფეთქდა ჩემი ცოლი, — რადგან მე ვთქვი, მზია კარგი ქალიშვილია-მეთქი, აღარ აქცევ ყურადღებას!.. აბა, კარგად დააკვირდი... — და მან ძალისძალით მიმახედა ქალიშვილისაკენ, მეტი რა გზა მქონდა, იძულებული გავხდი დავმორჩილებოდი, საგულდაგულოდ დავკვირვებოდი ქალიშვილს, მაგრამ ამჯერადაც ვერაფერი განსაკუთრებული და მიმზიდველი ვერ შევნიშნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ფერის კაბა აცვია!.. — ვთქვი და ჩქარა ვინანე. ზეინაბმა ისეთი ალიაქოთი ასტეხა, იძულებული გავხდი საჩქაროდ ოთახში შევსულიყავი, რადგან მიუხედავად საკმაოდ მაღალი სართულისა, ჩვენი ხმაური ქუჩას გასწვდა და გამვლელ-გამომვლელთა ყურადღება მივიქციეთ.

ზეინაბი სწუხდა იმ დღეს, როცა ჩემისთანა „უგემოვნო ტიპთან" დაიჭირა საქმე. ის დღე იყო და, მას შემდეგ ჩვენს ოჯახში დაირღვა მყუდროება. მეც დავკარგე მოსვენება და ზეინაბმაც, გადიოდა დღეები, თვეები... რაც დრო გადიოდა, ჩემი ცოლი თავის სტიქიაში შედიოდა. რამდენიმეჯერ გადავწყვიტე, ბედს დავმორჩილებოდი და განმეცხადებინა:

მზია მართლაც შესანიშნავი ქალიშვილია და მე საშინლად ვცდებოდი-მეთქი. მაგრამ თან ვშიშობდი, ვაითუ უფრო გათამამებულიყო და თავს მოეხვია ჩემთვის თავისი უვარგისი შეხედულებანი. ის კი ყოველ საღამოს განაგრძობდა ჩემს შეგონებას მზიას „ჰაეროვანი და ნატიფი" მშვენიერების შესახებ...

— იცი რა გავიგე?.. მზიასთვის ერთ-ერთი მინისტრის პირველ მოადგილეს ხელი უთხოვია... მაგრამ ის უარზეა. რა ედარდება, რა, მაგისი სილამაზის პატრონი ყოველთვის მოესწრება გათხოვებას. ჯერ რა აჩქარებს, ცხოვრება წინა აქვს, განა ჩემსავით გადაიჩეხება უფსკრულში!

ასეთ დროს, შეძლებისამებრ, ყოველთვის სხვა საგანზე გადამქონდა ყურადღება. ამას ზეინაბი ხვდებოდა და მეტის დაჟინებითა და სიჯიუტით მიტევდა.

ერთ საღამოს, როცა სამსახურიდან დავბრუნდი, ჩემი ცოლი განსაკუთრებულ სამზადისში დამხვდა.

—ვინმეს ელოდები? — ვკითხე მე.

— მზიას ვთხოვე ამ საღამოს ჩვენთან ერთად ივახშმოს...

მაშინვე მივხვდი, ეს მისი მორიგი ტაქტიკური ნაბიჯი რომ იყო, და გაგულისებულმა შევყვირე:

— სისულელეებს თავი დაანებე. გეტყობა, საქმე გამოგლევია სახლში!.. სულ ერთია, მე შინ არ ვიქნები. კრება გვაქვს და ჩქარა უკანვე უნდა გავბრუნდე, — ის იყო, მართლა ვაპირებდი წასვლას, რომ ზარმაც დაიწკრიალა.

— მზია, შენა?.. ისეთი აღტაცებით შეეგება შემოსულ სტუმარს ჩემი ცოლი, კაცი იფიქრებდა, ქვემო სართულიდან კი არა, ცხრა მთას იქიდან ჩამოუვიდაო დიდი ხნის უნახავი მეგობარი.

— აი, ჩემი ქმარი სამსახურში აუცილებელ საქმეზე გამოიძახეს, მაგრამ გაიგო თუ არა შენი სტუმრობა, წასვლა გადაიფიქრა...

— ეს უკანასკნელი სიტყვები მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა, მოჭუტული თვალებით გადმომხედა და სტუმარი ოთახში შეიპატიჟა. მეტი რაღა გზა მქონდა, თვინიერ ცხენივით დავმორჩილდი ცოლის მოხერხებულად ნასროლ ქამანდას.

ამის შემდეგ მზია ჩვენი სახლის ხშირი სტუმარი გახდა. როცა იგი პიანინოზე უკრავდა, ჩემს ცოლს ცაში აჰყავდა მისი მუსიკალური სმენა, კლავიშების გრძნობა, ჩამოქნილი, პიანინოსათვის გაჩენილი თითები, მალულად, ნიშნის მოგებით ჩემსკენ იხედებოდა. მე თითქოს მოჯადოებულივით, იმ მხარეს გახედვაც არ მინდოდა, სადაც მზია იჯდა. უფრო მეტიც. ამდენი დავიდარაბის შემდეგ, მხოლოდ ზრდილობის გულისათვის ვიკავებდი თავს და სახლიდან არ გავრბოდი.

ზეინაბი მოუთმენლად მოელოდა იმ დღეს, როცა მე ჩემს სიტყვას უკან წავიღებდი და ვაღიარებდი ჭეშმარიტებას მზიას უზადო სილამაზის შესახებ. ამ აღიარების მოლოდინში იგი წინასწარ ტკბებოდა.

ცნობილი ჭეშმარიტებაა: ზოგიერთ ქალს (განსაკუთრებით, როცა იგი სუსტი ნებისყოფისაა) უყვარს ქება და მაქებარიც. ჩვენი მეზობელიც არ აღმოჩნდა გამონაკლისი. იგი ჩემი ცოლის მეგობარი გახდა.

გადიოდა დრო. მზია ისე გაგვიშინაურდა. რომ ზოგჯერ ჩვენზე უფრო ერკვეოდა ჩვენი ოჯახის ნიუანსებში. იყო შემთხვევები, როცა მისი ავტორიტეტული სიტყვა გადამწყვეტ როლს თამაშობდა ჩვენს შინაურულ ცხოვრებაში.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ იგი ხშირად მაკვირვებდა საქმის კარგი ცოდნით, თავდაჭერილობითა და, რაც მთავარია, სამართლიანობით. ამის გამო ზეინაბი და მზია რამდენიმეჯერ სერიოზულადაც კი შეკამათდნენ. მიუხედავად ამისა, მე ვერა და ვერ შევძელი მასზე გულის მობრუნება...

ერთ დღეს, როცა ზეინაბი სახლში არ იყო, მზია მესტუმრა. სკამი შევთავაზე. ეტყობა, ესიამოვნა ჩემი ყურადღება, რადგან მასთან შეხვედრისას მასპინძლის ასეთ ელემენტარულ მოვალეობასაც კი არ ვასრულებდი, ჩემი ცოლის მოსაბეზრებელი, ხანგრძლივი ტიამაშის გამო...

მართალი გითხრათ, ჩვენი ნაცნობობის მანძილზე მხოლოდ ახლა დავაკვირდი ჩემი ოჯახის ამ „განხეთქილების ვაშლს"... და გავოცდი: ასეთი მშვენიერი ქალიშვილი ჯერ არასოდეს არ მენახა!.. მას სასიამოვნო ფერის ქერა თმა მოდაზე ჰქონდა დავარცხნილი და ძლიერ უხდებოდა. ჰქონდა მაღალი შუბლი, ხორბლისფერი, ნაზი სახე, რომელსაც რაღაც განუმეორებელ ელფერს აძლევდა ცისფერი, წყლიანი თვალები, სადაც სევდაც იყო და ხალისიც, სითბოც და სიცივეც, მზეც და ქარაშოტიც.

ის ადგა. თვალში მომხვდა მისი უნაკლო ტან-ფეხი. ისე დადიოდა, თითქოს ცეკვავდა კი არ საუბრობდა, თითქოს მღეროდა. პიანინოსთან დაჯდა და რომელიღაც რომანსი დაუკრა... მას მართლაც საკრავისათვის გაჩენილი თითები ჰქონდა.

„აქამდე, ჩემს გვერდით, როგორ ვერ ვამჩნევდი ამ ანგელოზს!" — ვფიქრობდი ჩემს თავზე გაჯავრებული. ახლა კი ჩემს გულში ვაღიარე — ჩემი ცოლი ცამდე მართალი ყოფილა-მეთქი. გულში რაღაც უჩვეულო სითბო ჩამეღვარა.

ზარმა დაიწკრიალა. ოთახში ზეინაბი შემოვიდა. დაინახა თუ არა სტუმარი, შეჰყვირა:

— ამას ვის ვხედავ, ჩემი ქალღმერთი, მზია მყოლია სტუმრად, მე კი სად ვიყავი!..

მეორე ოთახში გავედი. ვგრძნობდი, როგორ მიმაცილებდა ზეინაბის ნიშნისმოგები, გამჭოლი ცქერა.

„ჰო, ჰო, გეთანხმები ქალღმერთია, ნამდვილი ქალღმერთი!" — ვიმეორებდი გულში.

ამის შემდეგ მზია ჩვენს ოჯახში არა მარტო ზეინაბის, ჩემი სასურველი სტუმარიც გახდა. ჩვენი ნაცნობობა უფრო გაღრმავდა...

მე ვიწამე ზეინაბის შეგონება. ვაღიარე ჭეშმარიტება. მე და მზიას ერთმანეთი შევგვიყვარდა და ახლა ერთად ბედნიერად ვცხოვრობთ.

ზეინაბი? ალბათ, იგი თავის სიცოცხლეში პირველად დარწმუნდა, რომ ჯიუტ ხასიათს ყოველთვის როდი მოაქვს ბედნიერება

იოსებ ბლენტი

# გაუფრთხილდით ოჯახს!

თქვენი ჟურნალის აპრილის ნომერში დაბეჭდილმა წერილმა („მეტოქენი") ძველი იარა გამიხსნა. რა მალე მიხვდა უბრალო რუსი გოგონა თავის შეცდომას, მიხვდა და შეეცადა სხვებისათვისაც აეხილა თვალი. ის ამბავი კი რომელიც უნდა მოგითხროთ, სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ტოვებს:

თმაჭაღარასა და შვილიშვილების პატრონს, იქნებ, აღარც კი შემფერის ამ საკითხზე წერა, მაგრამ მინდა ჩემი წარსული სხვისთვის გაკვეთილი იყოს.

მქონდა ოჯახი, მყავდა მეგობარი — მეუღლე, კარგი შვილები. ცოლ-ქმარმა დამოუკიდებლად გავიკაფეთ გზა. დავამთავრეთ უმაღლესი, დავიწყეთ სამსახური, გამოვცადეთ უბინაობა და გაჭირვება.

და აი, როცა რაღაცას მივაღწიეთ, როცა მშვიდი ცხოვრება უნდა დაგვეწყო, აღმოჩნდა, რომ გავლილ გზას მე უფრო დავუღლი-

ვარ, ვიდრე ჩემი მეუღლე. ამიტომ, რაც ოჯახზე ზრუნვისა და ფიქრის დროს „სიამოვნება“ დააკლდა, მის ანაზღაურებას შეუდგა; გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლისთვისაც ჩემი მეუღლე მხოლოდ განათლებული, ნიჭიერი, პერსპექტიული მამაკაცი იყო. ეს ქალი შესანიშნავად იცნობდა მთელს ჩვენ ოჯახს, მაგრამ მიზნის განსახორციელებლად არაფერს არ მოერიდა. მე ვერ ვიკადრე ჩივილი და ნათესავებში სირბილი, რომ როგორმე მეუღლე შემენარჩუნებინა, და ჩვენ დავშორდით ერთმანეთს.

მაგრამ ამ „დიდმა“ სიყვარულმა მათ ბედნიერება ვერ მოუტანა.

მე ყველანაირად ვცდილობდი შვილებს მამა არ დაეკარგათ, აკი მასაც ამის იმედი ჰქონდა, შვილები არ გამწირავენ, გამიგებენო, მაგრამ, როცა გზააბნეულმა მამამ სულ სხვა ქალთან შექმნა ოჯახი, მათ შორის სამუდამოდ ჩატყდა ხიდი.

ისევ გაჭირვება, სიძნელეები... მაგრამ აი, შვილებმა უმაღლესი განათლება მიიღეს, და გვერდში ამომიდგნენ.

ამბები მომდიოდა: მამა ძალიან განიცდის შვილებთან დაცილებას, ნათესავებმა ზურგი შეაქციეს, ახალგაზრდა ცოლი კი თავისას მოითხოვსო... ცოლ-ქმარს შორის ჩქარა იჩინა თავი უკმაყოფილებამ.

რა დამავიწყებს იმ დღეს, ჩემმა უფროსმა შვილმა საკანდიდატო დისერტაცია რომ დაიცვა!

გახარებულნი, ბედნიერნი, ნაცნობ-მეგობრებით გარშემორტყმული გამოვედით შენობიდან, უეცრად ეზოში თვალი მოვკარი ჩემს ყოფილ მეუღლეს, რომელიც, ეტყობა, მშობლის ინსტიქტმა შინ არ გააჩერა, და მოვიდა, რომ შორიდან მაინც შეეხედა თავისი პირმშოს ბედნიერებისათვის.

რომ იცოდეთ, როგორ მეტკინა გული. ჩვენ ხომ ერთ დროს დიდი მეგობრები ვიყავით, ერთმანეთი გამოვზარდეთ, ერთმანეთის გზა და ხიდი ვიყავით! მაგრამ, ვაი რომ ჩატყდა ეს ხიდი და იგი ქვეშ მოიტანა!

ნურავის ჰგონია, დაუფიქრებელი ნაბიჯი მხოლოდ ქალს აუბედურებს; და, როგორც ჩვენში იტყვიან, — კაცი მაინც კაცია, ან კაცს რა ენაღვლება, ქალმა იკითხოსო, თქვენ თვალწინაა მაგალითი, როცა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა მამაკაცი ვერა და ვერ გააბედნიერა. იგი დაავადმყოფდა, ძველი მეგობრები მოვიგზავნა და მათი თხოვნით ყველამ ვინახულეთ საავადმყოფოში. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

ფრთხილად, ქალიშვილებო! ცოლშვილიან მამაკაცს თქვენთვის მხოლოდ ნახევარი გული აქვს!

ფრთხილად, მამაკაცებო! ქალი, რომელიც იოლად იჭრება სხვის ცხოვრებაში და არაფრად აგდებს ოჯახის დანგრევას, საეჭვოა, დიდი ბედნიერება მოგანიჭოთ. კარგად აწონეთ თქვენი საქციელი. ოჯახური ბედნიერება მარტო ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა როდია! ეს ბევრად მაღალი, ფაქიზი რამაა და შვილებითაა შემჭიდროებული!

გაუფრთხილდით ოჯახურ ბედნიერებას!

ხ. ჭ.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

აღზრდის ხელოვნება

## პატიოსნება, სიმართლე, გულწრფელობა

შოთა დ-ძის ოჯახი 1-ლი საშუალო სკოლის მიკრორაიონში ცხოვრობდა და ამიტომ პირველ სექტემბერს ეს ყმაწვილი ამ სკოლის პირველ კლასში უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, ბავშვი კი სკოლაში არ მიდიოდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მშობლებს შოთა იმ ზაფხულს სოფლად გაეგზავნათ და ქალაქში ჩამოყვანა დროზე ველარ მოეხერხებინათ. მეცადინეობა ერთი თვის დაწყებული იქნებოდა, როცა შოთა სკოლაში მოიყვანეს და მისმა დედამ იმდენი იბრძოლა, რომ შვილი ნინო ალადაშვილის კლასში ჩაარიცხვინა.

მოსწავლეთა კოლექტივის განმტკიცების მიზნით, ნინოს ამ დროისათვის უკვე გარკვეული მუშაობა ჰქონდა ჩატარებული. მიმზიდველი, ცოცხალი საუბრებით, პატარ-პატარა საინტერესო მოთხრობებისა და ლექსების კითხვით, შთამაგონებელი რჩევა-დარიგებით მასწავლებელი ბავშვებს დღითი-დღე უღვიძებდა სიმართლისა და პატიოსნების გრძნობებს, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ უნერგავდა ამხანაგობისა და მეგობრობის განწყობილებას.

ამ კოლექტივის ახალი წევრი შოთა დ-ძე მეტისმეტად ჩუმი და მორიდებული ყმაწვილი ჩანდა. მთელ გაკვეთილზე ისე უწყინრად იჯდა, რომ ამხანაგისკენაც კი არ გაიხედავდა, ხმას არავის გასცემდა, თითქოს ყველასთან გაბუტული იყო. ნინო კარგად ამჩნევდა ამ ბავშვის გულჩათხრობილ ბუნებას და განსაკუთრებული ყურადღებით უკვირდებოდა როგორც გაკვეთილების ჰსვლელობისას, ისე დასვენების დროსაც. სხვა მხრივ შოთა დანარჩენი მოსწავლეებისაგან განსაკუთრებულად არაფრით გამოირჩეოდა, ახალ მასალას ურიგოდ არ ითვისებდა, ოღონდ პასუხის გაცემისას ზოგჯერ იბნეოდა, მეხსიერება ეფანტებოდა.

ნოემბრის ერთ დღეს, პირველ დასვენებაზე, ალექსის შვიდი მანეთი დაეკარგა. ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, მოსწავლეებმა დაუყოვნებლივ მოახსენეს ნინოს, ერთ-ერთმა გოგონამ კი საიდუმლოდ ისიც უთხრა, ამ დასვენებაზე ფული შოთას ხელში დავინახეო.

— არა, ბავშვებო, თქვენ ცდებით, — გაიღიმა მასწავლებელმა, — ალბათ, ვიღაცამ იხუმრა, ალექსი უნდა გააბრაზოს, თორემ ჩვენთან ფულის მოპარვას, აბა, ვინ იკადრებს! აი, ნახავთ, შემდეგ დასვენებაზე ფული თავის ადგილზე არ იქნება.

ეს ისე დაბეჯითებით იყო ნათქვამი, რომ მოსწავლეებს ყოველგვარი ეჭვი გაეფანტათ და მალე ყველა გაიტაცა გაკვეთილმა. ფულის ამბავი თითქმის აღარავის ახსოვდა.

მასწავლებელმა იფიქრა, ჩემი ნათქვამი დამნაშავეს გულისხმაში ჩააგდებს და დასვენებაზე ფულს თვითონვე ჩაუდებს პატრონს ჯიბეშიო, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა.

— მე, რასაკვირველია, კარგად ვიცი, ვინც გაეხუმრა ალექსის, მაგრამ ხუმრობა კმარა. ამ დასვენებაზე უსათუოდ დაუბრუნეთ ფული თავის პატრონს, თორემ ვიღაცას მართლა ქურდობა ეგონება ეს ხუმრობა. — ამას რომ ამბობდა, ნინომ კლასს გამომცდელად გადახედა და შენიშნა, შოთამ მასწავლებელს აარიდა დამნაშავის თვალები და ჩანთაში ყასიდად დაიწყო ფათური.

მესამე დასვენებაზე ყველა დერეფანში გავიდა და მასწავლებლის ხელმძღვანელობით გართობა-თამაში გააჩაღეს. კლასში მხოლოდ მორიგეები — შოთა და მანანა დარჩნენ.

— თენგიზ, ამ თამაშს შენ უხელმძღვანელე, მე კი ჟურნალში რაღაცას ჩავწერ, — დაავალა მასწავლებელმა ერთ-ერთ ცოცხალ, ხალისიან ბიჭუნას და თვითონ საკლასო ოთახში შევიდა.

იგი მაგიდას მიუჯდა, ჟურნალი გადაშალა და კალამი მოიმარჯვა.

— მანანა, გაიქეცი, დაფის საწმენდი ტილო კარგად გარეცხე, გაწურე და მოიტანე, შენ კი, შოთა, ყვავილის ქოთნები გაასწორე! — დაავალა მასწავლებელმა მორიგეებს.

მანანა მაშინვე გაეშურა დავალების შესასრულებლად, ხოლო შოთა გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა ფანჯრის რაფას, რომელზედაც ყვავილების ქოთნები ელაგა.

— შოთა, ახლავე ჩადე ფული ალექსის პალტოს ჯიბეში! — კატეგორიულად უთხრა მასწავლებელმა დ-ძეს, ისე რომ მისკენ არც მიუხედავს და განაგრძო, — მე არ მინდა დავიჯერო, რომ შენისთანა მშვენიერი ყმაწვილი ასეთ სამარცხვინო საქმეს სჩადის... იმედი მაქვს, ამის შემდეგ სამუდამოდ გამოსწორდები. ამ ამბავს, რა თქმა უნდა, მე არავის ვეტყვი...

მეოთხე გაკვეთილი დაიწყო. მოსწავლეებს უკვე აღარც კი ახსოვდათ ფულის დაკარგვის ამბავი. ყველა გატაცებით იხატავდა ყვავილს რაფიდან, მასწავლებელი თვალყურს ადევნებდა პატარების შრომას.

გაკვეთილების დამთავრებას ორი წუთი აკლდა, როცა მასწავლებელმა ვითომ სახსვათაშორისოდ თქვა:

— მართლა, როგორაა საქმე, ალექსი, იპოვე თუ არა ფული?

— არა, პატივცემულო ნინო მასწავლებელო! — გულდაწყვეტით უპასუხა ბავშვმა.

— რაღაც დაუჯერებელი ამბავია! — სერიოზულად წარმოთქვა ნინომ. — ჯერ არასდროს მომხდარა, რომ ჩემს კლასში ქურდობა ჩაედინოთ... იცით რა, ბავშვებო, ზოგჯერ ადამიანს ასეთი რამ ემართება: რაიმე ნივთი თვალწინ უდევს, მაგრამ რატომღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ხედავს. რაღა შორს წავიდეთ და, გუშინ მეც მქონდა ასეთი შემთხვევა: ეს სათვალე პორტფელში მქონდა შენახული, მაგრამ შინ რომ მივედი, რამდენჯერმე გავსინჯე პორტფელი და ვერა და ვერ ვიპოვე. დიდხანს ვეძებე და ბოლოს ისევ პორტფელში არ აღმოჩნდა! იქნებ, შენც ასე დაგემართა, ჩემო ალექსი? აბა, კარგად შეამოწმე შენი პალტოს ჯიბეები!

ალექსი უიმედოდ მივიდა კედელთან, სადაც პალტოები ეკიდა, და თავისი პალტოს ჯიბეში ჩაყო ხელი.

— აქ არის, აქ, პატივცემულო მასწავლებელო! — ისეთი სიხარულით შეჰყვირა ბიჭმა, თითქოს მდინარეში დახავსებული ლოდის ქვეშ შეეყოს ხელი და იქ განაბული თევზი დაეჭიროს. სახეგაბრწყინებულმა ალექსიმ ყველას თვალწინ გადათვალა თავისი ქონება — ორი სამმანეთიანი და ერთიც გაცვეთილი მანეთიანი. ეს თანხა საგულდაგულოდ დაკეცა და რატომღაც შარვლის ჯიბეში არჩია მისი შენახვა.

— აკი გითხარი, საყვარელო, ჩვენს კლასში ქურდები არ არიან-მეთქი! —ღიმილით უთხრა მასწავლებელმა. — მაშასადამე, კი არავინ გაგხუმრებია, არამედ შენც ჩემსავით დაგემართა და ჯიბეში კარგად ვერ ნახე ეგ ფული.

რამდენიმე დღის შემდეგ, ამ შემთხვევის გამო, ნინო დიდხანს ესაუბრა შოთას დედას განმარტოებით. გულმოსული დედა პირველად ისე აენთო, რომ მაშინვე აპირებდა სკოლიდან გაქცევას და თავისი შემარცხვენელი შვილის ცემას, მაგრამ ნინომ გადააფიქრებინა, პედაგოგიურად დასაბუთებული რჩევა-დარიგება მისცა, დააშვიდა და თან გააფრთხილა: შვილთან ისე დაიჭირეთ თავი, თითქოს კლასში ფულის დაკარგვის შესახებ არაფერი იცითო.

დედამ მასწავლებელს პირობა მისცა, რომ უსათუოდ შეასრულებდა მის მითითებებს და სახლისკენ გაეშურა. ეს დაპირება შემდეგში მართლაც ზუსტად შესრულდა და შოთას, რომელსაც სახელი არ გაუტყდა, ქურდობა აღარასოდეს ჩაუდენია.

* * *

ერთ დღეს, გაკვეთილების დაწყებამდე, გიორგი ლ-შვილი თანაკლასელი ბიჭების შუაში ჩამდგარიყო, ხელში ქაღალდის ფული ეჭირა და ყველას ურიგებდა თითო მანეთიანს. თორმეტი მანეთი რომ ჩამოარიგა, თავისთვის სამმანეთიანი დაიტოვა და ამაყად უთხრა ამხანაგებს:

— იცით, ამ ფულით რამდენი ირისი მოვა!

„მდიდარი" ამხანაგის გულუხვობით აღფრთოვანებულ ბიჭებს ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ. ამ იშვიათ შემთხვევას პატარები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ და ისე შეჰყურებდნენ გიორგის, თითქოს მას რაღაც არაჩვეულებრივი გმირობა ჩაედინოს.

— ნინო მასწავლებელი მობრძანდება! — წამოიძახა ამ დროს ერთ-ერთმა ბიჭმა და ყველანი საყვარელი მასწავლებლის შესახვედრად გაეშურნენ.

— სალამი, ჩემო კარგებო, სალამი! — მიესალმა ნინო და პატარების სახეებზე რაღაც უჩვეულო განწყობილება ამოიკითხა.

— რაო, ასე ძალიან რამ გაგახარათ, საყვარლებო?

— გიორგიმ ყველას დაგვირიგა ფული, — სიამოვნებით მიუგო ერთ-ერთმა ბავშვმა.

— ვინ მოგცა ამდენი ფული, გიორგი? — მიუბრუნდა ბიჭს შუბლშეკრული მასწავლებელი.

ბავშვი დაიბნა, სახეზე ალმურმა გადაჰკრა და თავი ჩაღუნა.

— შენ გეკითხები, გიორგი, ვინ მოგცა ფული? — არ ეშვებოდა ნინო.

— მე... ისა... ფული მამამ მომცა, მამამ... — ამოილუღლუღა გიორგიმ.

ნინომ შეატყო, რომ ბიჭი მართალს არ ამბობდა, მაგრამ ახლა ამაზე კამათის გამართვა არ მოისურვა და კლასში შევიდა.

პირველი არითმეტიკის გაკვეთილი ჰქონდათ და ისე ჩატარდა, რომ ფულის თაობაზე ერთი სიტყვაც არ დაძრულა. მაგრამ ქართული ენის გაკვეთილზე მასწავლებელმა თხუთმეტიოდე წუთი შემოინახა დღევანდელ შემთხვევასთან დაკავშირებით აღმზრდელობითი ღონისძიებისათვის.

— ბავშვებო, მე თქვენ ახლა წაგიკითხავთ ზღაპარს „ცრუ და მართალი კაცი", კარგად მომისმინეთ და დაუფიქრდით მის შინაარსს, — მასწავლებელმა სათვალე გაიკეთა და ქრესტომათია გადაშალა.

„იყო და არა იყო რა, იყო ორი ამხანაგი: ცრუ და მართალი... — დინჯად დაიწყო მასწავლებელმა კითხვა. — ერთხელ მოიხმო ცრუმ მართალი და უთხრა... — სასიამოვნო ტემბრით განაგრძობს ნინო და დაინტერესებული ბავშვები სულგანაბული უსმენენ.

მასწავლებელი დროდადრო გადახედავს ბავშვებს და მათ სახეებზე ნათლად ამჩნევს იმ სულიერ განცდებს, რომელთაც იწვევს პატარებში კეთილისა და ბოროტის, სიმართლისა და სიცრუის ბრძოლა. ბავშვები აღშფოთებას ვერ მალავენ ცრუ კაცის მუხანათობის გამო. ჯერ იყო და, ისინი მაშინ შეძრწუნდნენ, როცა ცრუმ მარჯვენა თვალი ამოჰგლიჯა მართალ კაცს, ხოლო შემდეგ, როცა ეს ავსული ამასაც არ დასჯერდა, მეორე თვალიც დააკარგვინა მართალ კაცს და ულრან ტყეში ნადირთა ლუკმად დააგდო, ბავშვებს ისე აუჩუყდათ გულები, რომ თვალები ცრემლით აევსოთ. მაგრამ, ბოლოს, სიმართლე მაინც იმარჯვებს და პატარების სიხარულსაც საზღვარი აღარ აქვს.

— ეგრე მოუხდებოდა მაგას! — ვეღარ მოითმინა ლაშამ და ჰაერში ისე გაიქნია პაწია მუშტი, თითქოს მის წინ ცრუ კაცი მდგარიყოს.

— ეგეც მაგ ცრუპენტელას, მაგასა! — ნიშნი მოუგო თინამ...

— ძალიანაც კარგად! — დაუმატა ნოდარმა.

კლასი ახმაურდა. ცრუ კაცის მიმართ თავიანთ გულისწყრომას ვეღარ მალავდნენ ბავშვები. ყველას უნდოდა დაემცირებინა, გაეკიცხა, გაელანძღა იგი. მასწავლებელი რამდენიმე წამს კმაყოფილი შეჰყურებდა პატარების აბობოქრებას, მასაც ხომ სწორედ ეს სურდა: სიცრუისადმი საერთო ზიზღისა და სიძულვილის გრძნობები გაეღვიძებინა ბავშვებში...

მასწავლებელმა შენიშნა, რომ ამ საკითხის გამო მხოლოდ გიორგი ლ-შვილი არ სძრავდა კრინტს. სახეგაფითრებული ჩუმად იჯდა და ხელში კალმისტარს უაზროდ აცოდვილებდა.

— მოგწონთ ცრუ კაცის მოქმედება? — იკითხა ნინომ, როცა ბავშვებს აღელვების ტალღამ გადაუარა და კლასი დაწყნარდა.

— არა!

— ცუდია!

— არ მომწონს! —გაისმა შეძახილები.

— შენ რაღას იტყვი, გიორგი? — მიუბრუნდა ნინო ლ-შვილს.

გიორგი შეკრთა, წელმოწყვეტილივით წამოდგა, მაგრამ პასუხის გაცემა ვერ შეძლო.

— ცრუ კაცის საქციელი მოგწონს? — განმეორებით შეეკითხა მასწავლებელი.

— არა, — ამოილუღლუღა ბავშვმა და კიდევ უფრო გაფითრდა.

— დაჯექი, გიორგი! — უთხრა მასწავლებელმა და განაგრძო, — რა თქმა უნდა, ცრუ კაცის მოქმედება დასაგმობია, არაადამიანურია. იმედი მაქვს. რომ თქვენს შორის არც ერთი არ იკადრებს სიცრუეს. რადგან ასეთი საქციელი დიდად საზიანოა ხალხისათვის, ქვეყნისათვის, ოჯახისათვის და პირადად იმისათვის, ვინც მატყუარა და ორპირია. ასეთი კაცი ლაჩარიცაა. მამაცი და კეთილი ადამიანი არასოდეს არ იტყვის ტყუილს... გასაგებია, ბავშვებო, რაც გითხარით?

— დიახ, გასაგებია! — ერთხმად წამოიძახა კლასმა.

— ეს ზღაპარი ამაღამ თქვენს მშობლებს მოუყევით და კარგად დაიხსომეთ ჩემი დღევანდელი საუბარი, — დაავალა მასწავლებელმა ბავშვებს და ამით დაამთავრა გაკვეთილი.

მეცადინეობის დამთავრებისთანავე ნინო ტელეფონით დაუკავშირდა გიორგი ლ-შვილის დედას და სთხოვა, თუ შესაძლებლობა ჰქონდა, დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სკოლაში მასთან, ოღონდ ისე, რომ ამის შესახებ გიორგის არაფერი გაეგო და ტელეფონით ეს საუბარიც საიდუმლოდ შეენახა.

გიორგის დედისა და ნინოს შეხვედრის მეორე დღესვე გაირკვა, რომ ბავშვს თხუთმეტი მანეთი ჩუმად ამოეღო მამის საწერი მაგიდის უჯრიდან, რათა პატივი ეცა ამხანაგებისათვის და მათთან თავი მოეწონებინა. გიორგის მშობლები ნინოს მითითებისამებრ მოიქცნენ: დაყვავებითა და ტკბილი სიტყვით გიორგის სიმართლე ათქმევინეს, ამხაგებისათვის პატივისცემის სურვილი და გულკეთილობა მოუწონეს, ქურდობისა და მასწავლებლის მოტყუებისათვის კი მკაცრად უსაყვედურეს და იმით დასაჯეს, რომ ორი კვირის განმავლობაში კინოში არ წაუყვანიათ. გარდა ამისა, აიძულეს, ნინო მასწავლებლის წინაშე გულწრფელად ეღიარებინა თავისი დანაშაული და მოტყუებისათვის ბოდიში მოეხადა.

გიორგი ალავერდაშვილი

## ლოგინის ჰიგიენა

ადამიანები სიცოცხლის მესამედს ძილში ვატარებთ. ძილის ხანგრძლივობა და ღამის სრულფასოვანი დასვენება კი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ საწოლში გვძინავს. პირადი გამოცდილებით ყველა ჩვენგანმა იცის, რომ როცა მატარებელში ან სადმე სხვაგან ტანგაუხდელად გვძინავს, ან თუ ღამის გათევამ სხვის ოჯახში მოგვიწია, დილით თავს ისე დასვენებულად ვერ ვგრძნობთ, როგორც შინ, საკუთარ საწოლში ძილის შემდეგ.

მაგრამ ვერც შინ მოვისვენებთ რიგიანად, თუ მოუხერხებელი საწოლი გვაქვს. ჩვეულებრივ, როცა საწოლების დასადგმელ ადგილს ვარჩევთ, ანგარიშს ვუწევთ ბინის ფართობსა და ესთეტიკურ მოსაზრებებს. მაგრამ ჰიგიენური მოთხოვნილების უგულვებელყოფაც არ შეიძლება!

საწოლი თუ დივანი ისეთ ადგილას უნდა მოვათავსოთ, რომ ნიავმაც გაუაროს და განათებაც საკმარისი ჰქონდეს. მზის სხივები და სუფთა ჰაერი მავნე მიკრობებს ანადგურებს.

ნუ დადგამთ საწოლს ნიშაში, ნუ ჩამოაფარებთ ფარდას. მძინარე ადამიანს სახე ფანჯრისკენ არ უნდა ჰქონდეს მიქცეული. სჯობს, საწოლი შიგნითა კედელთან მიდგათ, ვიდრე გარე კედელთან, რომელიც, საერთოდ, უფრო ცივია.

საწოლის ქვეშ ჩემოდნებსა და სხვა საოჯახო ნივთებს ნუ შეინახავთ, ეს ლოგინის განიავებას ხელს უშლის და მტვერის ბუდედ იქცევა ხოლმე.

ლოგინი საწოლად მოხერხებული უნდა იყოს და საკმაოდ ხალვათი, რომ ტანმა მშვიდად დაისვენოს. ასაკეცი საწოლი (დივანსაწოლი, სავარძელ-საწოლი და სხვა) მართალია ადგილს ნაკლებს იკავებს, მაგრამ მასზე ზოგჯერ კარგად ვერ ვიმართებით, მოხერხებულ პოზას ვერ ვიღებთ.

თუ ლეიბი ძალიან ფუმფულა ან, პირიქით, ძალიან ხმელია, ადამიანს ღრმა ძილი არ ექნება: მძინარე ღამის განმავლობაში 40-50-ჯერ გადაბრუნდება ხოლმე. არ არის რეკომენდებული ბუმბულის ლეიბი. ბევრად უმჯობესია მატყლის, ბამბის ან ზღვის ბალახის ლეიბი, რომელიც დროდადრო უნდა გადახალისდეს.

ასევე მატყლისა და ბამბის საბნები ჯობს ბუმბულისას, რადგან ბუმბულის საბანი ცხელია და ორგანიზმის გადახურებას იწვევს. ლოგინის თეთრეული ბამბის ქსოვილისა უნდა იყოს. ზაფხულის სიცხეში სელის თეთრეული ჯობს, რადგან სასიამოვნო სიგრილე აქვს. ლოგინის თეთრეული 7-10 დღეში ერთხელ უნდა გამოიცვალოს, გააჩნია, როგორაა გაჭუჭყიანებული. ზეწარი და ბალიში გარეთ უნდა დაიფერთხოს. შემდეგ ლოგინს კარგადღებულ ოთახში 10-15 წუთს ჰაერმა უნდა გაუაროს და მერე გასწორდეს.

როცა თბილა, თვეში ორჯერ საბანი, ლეიბი და ბალიში მზეზე გაიტანეთ და დაფერთხეთ.

ნუ დატოვებთ ლოგინის თეთრეულს ტახტზე ან დივანზე გაშლილს. ის მისთვის განკუთვნილ ადგილას შეინახეთ.



ნათელა კოზანაშვილი



# კონკურსში გამარჯვებულნი

რამდენიმე ხნის წინ თბილისში, რესტორან „არაგვში" საზოგადოებრივი კვების სამმართველომ მოაწყო მზარეულ და კონდიტერ ქალთა კონკურსი. კონკურსში გამარჯვება ხვდათ თბილისის კაფე „ნარგიზის" მზარეულს ნათელა კოზანაშვილს და კონდიტერს — გულნაზი ადიკაშვილს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მათ მიერ შემოთავაზებულ რეცეპტებს.

### შავი ბოლოკის სალათი

გასუფთავებული, გარეცხილი შავი ბოლოკი მსხვილ სახეხზე დავფხიკოთ, მოვაყაროთ წვრილად დაკეპილი მწვანე ხახვი, მოვასხათ ზეთი, კარგად ავჩეჩოთ, დავდოთ სასალათეზე და მირთმევის წინ მოვაყაროთ მარილი. ეს სალათი ძალიან მადის აღმძვრელია და ამიტომ სადილის მირთმევა სწორედ ამით უნდა დავიწყოთ.

### წითელი ჭარხლის ხიზილალა

წითელი ჭარხალი მოვხარშოთ, კანი გავაცალოთ, წმინდა სახეხზე გავატაროთ, ვუყოთ ცოტა ძმარი, მარილი (თუ სიტკბო აკლია, ცოტა შაქარიც მივუმატოთ), ცოტა ზეთი და კარგად ავურიოთ. თეფშზე კოხტად დავდოთ და საუზმედ მივართვათ. ბოლოკის სალათიცა და ეს ხიზილალაც უებარი საშუალებაა ყაბზობის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წელში გამოყვანილი და ბოლოში ოდნავ გაგანიერებული ბუკლეს პალტო. კოკეტი, ჯიბეები და თამასა შავი ფერის ხელოვნური ტყავისაა.

ავტორი ნ. კობალაძე

2. რბილი, კუბოკრული შალის ქსოვილისაგან შეკერილი კაბა-პალტო მოსასხამით. გრძელფოჩებიანი მოსასხამი და დიდი ჯიბეები ირიბადაა აჭრილი. ანსამბლს დასრულებულ იერს აძლევს შავი ტყავის განიერი ქამარი და ასევე შავი ტრიკოტაჟის სვიტრი.

ავტორი ი. კიკნაძე

3. დემისეზონური კომპლექტი-მოსასხამი და წინ ღილებზე შეკრული ქვედატანი რბილი შალის ქსოვილისაგან. ტანსაცმლის დეტალები და კიდეები ორმაგად დაგვირისტებულია.

ავტორი ი. ნაცვლიშვილი



1

## საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მოდელების სახლი



2



3



4

4. ხელოვნური ტყავის კოსტუმი. მოკლე ჟაკეტზე მიკერებულია განიერი ქამარი. უკან აქვს კოკეტი, წელში ოდნავ გამოყვანილია. მოზრდილი, ზემოდან დაკერებული ჯიბეები, სარქველები, დეკორატიული გვირისტი და ლითონის ღილები კოსტუმს სპორტულ იერს აძლევენ.

ავტორი ნ. კობალაძე

5. რბილი კუბოკრული შალის წელში გადაუჭრელი კაბა-პალტო სარქველებიანი ჯიბეები და ქამარი ირიბადაა აჭრილი. ღორმეზის ელეგანტური სისადავე და სპორტული ხასიათის დეტალები კარგად ეხამება ეფექტურ ქსოვილს.

ავტორი ს კალანდაძე



5



7

6



6. რბილი ბუკლირებული შალის ელეგანტური პატარა ჟაკეტი წელში გამოყვანილია, გრძელი ქვედატანი მუხლამდეა შეხსნილი. ეფექტური გრძელი შარფი მოდელს დასრულებულ იერს აძლევს.

ავტორი ი. კიკნაძე

7. ელეგანტური, ახალი ფორმის დემისეზონური კოსტუმი რბილი კუბოკრული შალისაგან ჟაკეტის ფორმის მოსასხამითა და სწორი ქვედატანით, მოსასხამის გვერდითი ნაწილი ირიბადაა აჭრილი. საყელო და ქამარი შავი ტყავისაა.

ავტორი ნ. ტოლსტუხინა

ИНДЕКС 76178